



La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

JUILLET

1929—N° 43

ოგოსო

1929 წ.

№ 43

# დამოუკიდებელი საქართველო

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

## შ ი ნ ა ა რ ხ ი :

მეთაური—მოსკოვის პროტესტი.  
ომის ლიკვიდაცია.  
პროტესტები ოკუპანტების დემონსტ. წინააღმდეგ.  
«საქართველოს საკითხი».

ია—«მრისხნავ გაფრთხილება».  
სიტყვა წარმ. კ. ჩხეიძის საფ. რ. არსენიძის მიერ.  
დ. შ.—მენარ-დორიან.  
—ლი—გ—საქართველო ციფრებით.

## მ ო ს კ ო ვ ი ს პ რ ო ტ ე ს ტ ე ბ ი

ძველადანვე თქმულა, ღმერთს ვისი დალუპვა უნდა, მას ჭკუას წაართმევს. ჩვენ ვფიქრობთ, კრემლის სტუმრებს არა თუ ჭკუა, ტვინიც გადაუტრიალდათ. არაფერი ესმით. ყველაფერი აერიათ. როგორც შეფერის თავდაყირა დაქანებულ ნავს და მის სასაოწარკვეთელ მელქანეთ.

მართლაც, ყველასაგან. მხოლოდ მოსკოვისგან არასგზით არ მოველოდით, რომ ის მოაწყობდა საქართველოს დამოუკიდებლობის ასეთ გრანდიოზულ დღეს. ჩვენ არ ვხუმრობთ, ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტებს არც კი მოზმანებით ასეთი 26 მაისი!

ერთს მშვენიერ დღეს ევროპის და, ვფიქრობთ, მთელი განათლებულ მსოფლიოს უთვალავ ვაჩვენებში თავსდება ცნობა ვარშავიდან: მოსკოვის ელჩმა პროტესტი განაცხადა, ხოლო პოლონეთის საგარეო მინისტრის მოადგილემ იგი უკუაგდო. მრავლისაგან მრავალი მილიონი მკითხველი ტყობილობს, რომ პროტესტის საგანი საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ყოფილა, გამართული ქართველ ემიგრანტების მიერ, ხოლო მას პოლონეთის მთავრობის წარმომადგენელი დასწრები.

საერთაშორისო ხასიათი ამ კონფლიქტისა აშკარაა: საქართველო და მისი უფლება, მოსკოვი და მისი ვერავობა; პირველის ღალადი ძალმომრეობის წინააღმდეგ, მეორის დამნაშავეის სკამზედ დასმა.

მოსკოვი არ კმარობს, საბჭოთა «საზოგადოებრივობა» აღშფოთებულია, მისი პრესა გაშმაგებული, საქართველოში «მოთმინებიდან გამოსული ხალხი» ქუჩებზედ, პოლონეთის საკონსულოს ფანჯრების ჩაღწევა, მიტინგები, რეზოლუციები... და მოსკოვი ყველა ამას «ვსემ, ვსემ, ვსემით» აწვდის ქვეყნიერებას. მაშ, ისევ უთვალავი ვაჩეთი, ისევ მრავლისაგან მრავალი მილიონი მკითხველი ტყობილობენ, რომ საქართველოს საქმეებში უცხო სახელმწი-

ფო, პოლონეთი, ჩარეულა. უდღესასწაულია მისი უზენაესი უფლების აღდგენა...

და ქართველი ერთი კი თურმე ამის წინააღმდეგ გადმოხდა! ცხრა წელიწადია, რაც დამოუკიდებლობის დღეს უქმობს ქართველი ემიგრაცია უცხოეთში. ცხრა წელიწადია, რაც ეს უფლება წაართმეული აქვს ქართველ ერს საქართველოში. რას ვხედავთ? წელს მან იდღესასწაული იგი თვით მოსკოვის თაოსნობით, მისი ბრძანებით! განა უკეთესი უქმობა შეიძლება? განა საოკუპაციო ხელისუფლების მიერ მოწყობილი მანიფესტაციები, მიტინგები, რეზოლუციები არ უცხოველებდა. ცეცხლის ალით არ აგონებდა მთელს ქართველ ერს, დიდსა და პატარას, საქართველოს ერთი კუთხიდან მეორე კუთხემდე, რომ 26 მაისი არ მომკვდარა. არავის ძალუძს მისი ჩაკვლა?!

დაახ. ჩვენ გვეღირსა ერთხელ მაინც, ამ მწარე ემიგრანტობის დროს, ერთათ გვეუქმა მშობელ ერთან, მივკროდით მის მკერდს, გვეცნო ერთმანეთი, ამდენი ხნის დაშორებულთ, და ერთათ შეგვეცახნა: გაუმარჯოს საქართველოს, მის დროშას!

ერთი სიტყვით. დიდი სამსახური გავცივია მოსკოვმა, მიაღწია სწორეთ იმის წინააღმდეგს, რისი მიღწევა სურდა. მთელ მსოფლიოს წინ ერთხელ კიდევ დაისვა ქართული საკითხი, შეინძრა საზოგადო აზრი, ამეტყველა მისი სინიძისი ამ ცხრა წლის წინ მომხდარ ბარბაროსულ აქტის წინააღმდეგ, აიმართა სვეტიცხოველის ჯვარი და მასზედ გაკრული გმირი ქართველი ერთი.

რაც შეეხება მანიფესტაციებს და სხ., ყველამ კარგათ უწყის მათი ღირებულება, კარგათ იცნობენ საბჭოთა «საზოგადოებრივობას», მათ «თავისუფლებას» სიტყვისა, კრებისა, კავშირებისა. ეს არ არის რამე რთული გეგმა ქართველ ერის ნამდვილ რაზმების გასაყალბებლათ, იგი შეკაფიწებულია სულელუ-

თველ ერის ნამდვილ მისწრაფებათა გაყალბების ცდის წინააღმდეგ, უთელის აღფრთოვანებულ სალამს მრავალტანჯულ მშობელ ერს და უძღვნი სულრმეს მადლობას რაინდი პოლონეთის ერს და პრესას, რომელთაც ერთსულოვნათ დაკვმეს მოსკოვის დაუშვებელი ჩარევა პოლონელ და ქართველ ერთა ტრადიციულ მეგობრულ ურთიერთობაში.

### 2. ოდენკუროი.

ოდენკურში არსებულ ქართ. ასოციაციის, 30 ივნისს. შემდგარი კრება გაეცნო ქართველ ემიგრანტთა მიერ ვარშავაში 26 მაისს მოწყობილ საზეიმო სხდომაზე პოლონეთის მთავრობის წარმომადგენელთა დასწრების ამბავს, საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელის პროტესტს ამის გამო და პოლონეთის მთავრობის ღირსეულ პასუხს ამ პროტესტზე.

ეს პასუხი საუკეთესო მაჩვენებელია იმის, რომ მიუხედავად საბჭოთა საქართველოს ფორმალური ცნობისა, პოლონეთი სცნობს მას, როგორც დაპყრობილს და უცხო ძალების მიერ დაკავებულს და მისი სიმპატიები არის არა დამპყრობელისაკენ, არამედ დაპყრობილებსაკენ.

პოლონეთის ერს, რომელიც თვითონ. ჩვენთან ერთად, დაჩაგრული და დამონებული იყო 140 წლის მანძილზე რუსეთის მიერ, არ შეეძლო არ ეგრძნო 26 მაისს, როდესაც ჩვენ ვდღესასწაულობთ ჩვენი დამოუკიდებლობის და სუვერენობის აღდგენის წლის თავს, მოთხოვნილება გამოეთქვა ჩვენთვის სიმპატიის და მეგობრული განწყობილების გრძობები.

ეს გრძობები თხოულობენ გამოხატვას და გამოხატულება მისცა მათ პოლონეთის მთავრობამ ჯერ ჩვენ დღესასწაულზე თავის ოფიციალური წარმომადგენლების გაგზავნით და შემდეგ ეროვნულ ღირსებით აღსავსე პასუხით, რომელიც გამსჭვალულია ჩვენი ერისადმი პატივისცემით და მსურველ სიმპატიით.

დეე იცოდეს პოლონეთის ერმა და მისმა მთავრობამ, რომ ის «მანიფესტაციები», რომლებსაც აწყობენ დღეს საქართველოში კომუნისტები, რომ ის ვითომდა «პროტესტის ტალღები» და «აღშფოთების ზვირთები», რომლებზედაც მოგვითხრობენ ყოველ დღე კომუნისტური გაზეთები, ეს არ არის არც ჩვენი ხალხის გრძობათა მანიფესტაცია (ამის საშვალეა ქართველ ხალხს წართმეული აქვს), არამედ ხელოვნურათ მოწყობილის და ნაბრძანებნი. პროტესტის და აღშფოთების ტალღები თუ მართლა აბოტოქრებულნი არიან საქართველოში, ისინი დღეს ვერ პოულობენ, საუბედუროთ, გამოსავალს და უძღურნი, ჩაკლულნი არიან ჩვენი ხალხის გულში.

უსაშინლესი მხარე ბოლშევიკური ტირანიისა ის არის. რომ განსხვავებით ისტორიაში ცნობილ სხვა ტირანიულ რეჟიმებთან, დესპოტიური საოკუპაციო ხელისუფლება ჩვენს ქვეყანაში არ კმაყოფილდება მარტო იმით, რომ ჩვენ ხალხს, ჩვენს საზოგადოებას, ჩვენ მწერლებს და მეცნიერებს წართმეული აქვთ საშვალეა, უფლება თავიანთი აზრების და გრძობების გამოთქმის, ისინი იძულებულნი არიან უსაშინლესი რეპრესიების შიშის ქვეშ, ხანგამოშვე-

ბით. როგორც ეს მოესურვება ან დასჯირდება საოკუპაციო ხელისუფლებას, გამოსთქვან სიყვარული და აღფრთოვანება, როდესაც სიძულვილს და აღშფოთებას გრძობენ და, პირიქით, სიძულვილი და აღშფოთება განაცხადონ მაშინ, როდესაც სიყვარულს და აღფრთოვანებას განიცდიან.

მაგრამ დამცირებულ და პატივყარილ ჩვენი ერის გულში ღვივდება და ძლიერდება არა ნაბრძანები და ხელოვნური, არამედ ნამდვილი და წრფელი აღშფოთების და პროტესტის გრძობა. ეს იქნება არი ბუტაფორული ზვირთები აღშფოთების და პროტესტის, რომლებიც თუ კომუნისტურ რეპტილიებს დაუჯერებთ, პოლონეთის საკონსულოს ემუქრება თელისში, არამედ ნამდვილი მდინარე მძლავრი და აბოტოქრებული. და ის წალეკს იმ უმაგალითო და უსახიზღრეს ბოროტებას, რომელსაც დღეს საბჭოთა ხელისუფლება ეწოდება და მაშინ ქართველ ხალხს მიეცემა საშვალეა თავის გრძობების ნამდვილი და გულწრფელი მანიფესტაციის.

ჩვენ ვუთვლით მსურველ სალამს და გულწრფელ მადლობას პოლონეთის ერს და მის მთავრობას და გამსჭვალულნი ზიზღის და სიძულვილის გრძობით ჩვენი ხალხის მტარველებისადმი, ჩვენ მივმართავთ ევროპის და მთელ მსოფლიოს საზოგადოებრივ აზრს, აღამალოს ჩვენთან ერთათ ხმა პროტესტისა ერის ამოდენ დამცირების და ეროვნულ გრძობების ამ ზომამდე გაყალბების და გამასხარავების გამო.

ამას მოითხოვს არა მარტო ქართველი ერის ინტერესები და მისი ღირსება, არამედ ღირსება ადამინის და მოქალაქის. შებლაღული, გამასხარავებული და ფეხქვეშ გათელილი ბოლშევიკების მიერ, ამას მოითხოვს და ამანვე პადადებს «ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია», რომელიც უანდერძა დიდმა საფრანგეთის რეფოლიტიკამ თანამედროვე კაცობრიობას, ამას მოითხოვს ადამიანის შეურაცყოფილი გრძობა და შელახული სვინდისი.

### 3. ჩ ე ს ი ა შ ი.

ჩეხო-სლოვაკიაში მყოფნი ქართველ ემიგრანტთა საზოგადოებამ, გაეცნო რა 29 ივნისის (1929 წ.) სხდომაზე იმ ამბებს, რომლებიც მოყვა შედეგათ ვარშავაში ქართველთ ემიგრანტთა მიერ მოწყობილ დღესასწაულს 11 წლის თავზე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა პოლონეთის ოფიციალურ და საზოგადოებრივ წრეების თანდასწრებით, გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

11 წლის წინათ საქართველომ აღადგინა თავისი სახელმწიფოებრივი დამუკიდებლობა. განთავისუფლებული ერი შეუდგა თავისი პოლიტიკური და სოციალური წყობილების მოწყობას თანამედროვე დემოკრატიის პრინციპების საფუძველზე. საერთაშორისო დემოკრატიათ გამოუწოდა ხელი უცხო ულიისაგან განთავისუფლებულ პატარა, მაგრამ ისტორიით მდიდარ ერს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ცნობილ იქმნა იურიდიულად ევროპის მოწინავე სახელმწიფოების მიერ თანახმად საერთაშორისო უფლებისა. ის ცნობილ იქმნა აგრეთვე საბჭო-



ამიტომ შესაძლებელია და შედარებით ადვილიც, რომ მთელი სარეპარაციო რაოდენობის, რამდენიმე ათეულ მილიარდ ოქროს მარკის, ეგრ. წოდ. მობილიზაცია მოხდეს ამ თავითვე და აქედან მოკავშირეებმაც, განსაკუთრებით საფრანგეთმა, ვალების ერთი დიდი ნაწილი ესლავე მიიღონ გერმანიისაგან. სად უნდა მოხდეს ეს მობილიზაცია? რა თქმა უნდა, იმავე ამერიკის ბირჟაზე. ამ რბგათ, საერთაშორისო ბანკის ბატონ-პატრონი ამერიკა იქნება!

ცხადია, მაშასადამე, იონგის გეგმის ნამდვილი დედა-აზრი: გერმანიას საქმე ექნება ბოლოსდაბოლოს მარტო ამერიკასთან, ან უკეთ, უმთავრესათ მასთან. ძველი მოკავშირეთა ვალები ამერიკისადმი, ისე, როგორც სარეპარაციო თანხა, გერმანიამ ამერიკას უნდა უზღოს. საერთაშორისო ბანკის მეორე დიდი დანიშნულებაც იმაში მდგომარეობს, რომ მან საშუალება უნდა მისცეს, თავის მოგებიდან, გერმანიას, რომლის თანხით იგი არსდება, მოკავშირეთა ვალების გადახდა გაუადვილოს, ამერიკისათვის. დასკვნა ამ რთული ფინანსიური კომბინაციისა

მართლა ის არის, რომ ევროპის მეომარი სახელმწიფოები, განსაკუთრებით გერმანია და საფრანგეთი, თავისუფლდებიან პოლიტიკურ და სამხედრო დავისაგან, მათი დამოკიდებულება იღებს ნორმალურ სახეს, ვალდებულებანი ფინანსიური ხასიათისა გადადიან ბანკებზე და ბირჟაზე, და ისიც ისე, რომ უშუალოთ არცკი შეხვედნათ მათ, მეტ ნაწილად, ანგარიშების გასწორება.

ამას მართლაც უნდა დაეძახოს ომის ლიკვიდაცია. ათი წელი გავიდა ევროპის ზავიდან და სახელმწიფოები კი დაობდნენ ომის შედეგებზე, არ იქნა, ვერ ამოსწურეს, და ვერც ამოსწურავდნენ, თუ არა ამერიკა. საინტერესოა, რომ პირველი გეგმაც ამერიკელ დოქტრის თავეჯდომარეობით შემუშავდა, და ის კი ამერიკის ელჩია დღეს ინგლისში და აქვს დაბარებული მკვლევართან შეთანხმება სახლგო შეიარაღების შემცირების შესახებ. ყველამ იცის, რა დიდი მნიშვნელობა ექნება ამ შეთანხმებას საზოგადოთ განიარაღების კითხვის მოწესრიგებისთვის შეწყვეაში.

**პროტესტები ოკუპანტების დემონსტრაციების წინააღმდეგ**

**1. საქართველოში**

ამა თვის 7 პარბში შესდგა საფრანგეთის ქართველთა ასოციაციის საგანგებო კრება იმ დემონსტრაციების წინააღმდეგ, რომელნიც მოაწყვეს ოკუპანტებმა საქართველოში ქართველი ერის სახელით. ასოციაციის თავმჯდომარემ დ. სირტლაძემ მოკლედ გააცნო დამსწრეთ საქმის ვითარება. შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს ა. ასათიანმა, გ. გვაზავამ, ი. გობეჩიამ, დ. ვაშაძემ, ი. თხემეზურმა, ქავთარაძემ და დ. ხარისპირაშვილმა. ამის შემდეგ ერთხმად იქმნა გამორჩეული შემდეგი რეზოლიუცია:

მოისმინა რა სამშობლოდან მიღებული იმფორმაცია და ორატორების სიტყვები შესახებ საოკუპაციო ხელისუფლების მიერ მოწყობილ დემონსტრაციებისა იმ დღესასწაულის გამო, რომელიც გამართეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მე 11 წლის თავზე ვარშავაში ქართველმა ემიგრანტებმა, პოლონეთის მთავრობის წარმომადგენელთა თანდასწრებით, და იღებს რა მხედველობაში:

1) საქართველოს დამოუკიდებლობა, აღდგენილა ერის უზენაესი ნებისყოფის თანახმად 26 მაისს 1918 წ., იქმნა იურიდიულათ ცნობილი მრავალ სახელმწიფოს მიერ, ხოლო რ. ს. ფ. ს. რამ ეს ცნობა აღბეჭდა მას და საქართველოს შორის 7 მაის 1920 წ. დადებულ ხელშეკრულებაში, რის გამო საბჭოთა მთავრობის პროტესტი ქართველ მოქალაქეთა მიერ სხვა და სხვა ქვეყნებში, რომელთა სტუმართმოყვარეობას ისინი სარგებლობდნენ, დამოუკიდებლობის დღის გამართვის წინააღმდეგ, წარმოადგენს საერთაშორისო დანაშაულს როგორც ამ ქვეყნების, ისე განსაკუთრებით საქართველოს მიმართ, რომლის ტერიტორია მას ოკუპაციის ქვეშ უჭირავს და ფეხქვამ სთელავს მის მიერ დადებულ ხელშეკრულებას;

2) მოსკოვის მთავრობის ეს პროტესტი, გაუგონარი საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით,

მოკლებულია იურიდიულ საფუძველს თვით ს. ს. რ. კავშირის კანსტიტუციის მიხედვით, რომელიც გულისხმობს ვითომ საქართველო დამოუკიდებელი იყოს. თავისუფლათ შესულიყოს საბჭოთა კავშირში და პქონდეს მას იქიდან თავისუფლათ გამოსვლის უფლება, რასაც მოსკოვის აგენტები უცხოეთში წამდაუშუმ იმოწმებენ მსოფლიო საზოგადო აზრის შეცდომაში შესაყვანათ;

3) ამ გვართ, საბჭოთა მთავრობის პროტესტები ერთხელ კიდევ ცხად ჰყოფს სრულს წინააღმდეგობას მის სიტყვასა და საქმეს შორის და იმ დაუსრულებელ სიყალბეს, რომელზედაც აგებულია მთელი მისი პოლიტიკა. განსაკუთრებით საქართველოს მიმართ;

4) მოსკოვის მიერ ვარშავაში განცხადებული პროტესტის და საბჭოთა პრესის გააფთრებული კამპანიის შემდეგ საქართველოში მოწყობილი დემონსტრაციები პოლონეთის და მის წარმომადგენელთა წინააღმდეგ, არას გზით არ გამოხატავს სულისკვეთებას ქართველ ერისას, რომელმაც თავის საუკეთესო შვილთა სისხლით დაამტკიცა მისი ერდგულება და თავდადება დამოუკიდებლობისათვის;

5) საბჭოთა მთავრობა ვერავის მოატყუებს ამგვარი ვითომდა «ხალხური» გამოსვლებით, რადგან მსოფლიო საზოგადო აზრი უკვე საქმარისათ გარკვეულია იმის შესახებ, რომ საბჭოთა საბრძანებელში აღმოფხვრილია სიტყვის და მით უმეტეს კრების და მოქმედების თავისუფლება და იქ მყოფი ხალხები მოკლებულნი არიან ყოველსავე საშუალებას თავის მისწრაფების საჯაროთ გამოაშკარავებისა. რაიცა მარტო საბჭოთა აგენტების მოაზროლიას შეადგენს.—საფრანგეთში მყოფ ქართველთა ასოციაციის საზოგადო კრება აცხადებს უსასტიკეს პროტესტს საბჭოთა მთავრობის მიერ საქართველოს უზენაეს უფლებათა ვერაგულათ დარღვევის და ქარ-

თველ ერის ნამდვილ მისწრაფებათა გაყალბების ცდის წინააღმდეგ, უთვის აღფრთოვანებულ სალამს მრავალტანჯულ მშობელ ერს და უძღვნი უღრმეს მადლობას რაინდ პოლონეთის ერს და პრესას, რომელითაც ერთსულოვან დაძვმეს მოსკოვის დაუშვებელი ჩარევა პოლონელ და ქართველ ერთა ტრადიციულ მეგობრულ ურთიერთობაში.

2. ო დ ე ნ ე უ რ ი .

ოდენკურში არსებულ ქართ. ასოციაციის, 30 ივნისს. შემდგარი კრება გაეცნო ქართველ ემიგრანტთა მიერ ვარშავაში 26 მაისს მოწყობილ სახეიმო სხდომაზე პოლონეთის მთავრობის წარმომადგენელთა დასწრების ამბავს, საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელის პრეტესტს ამის გამო და პოლონეთის მთავრობის ღირსეულ პასუხს ამ პროტესტზე.

ეს პასუხი საუკეთესო მაჩვენებელია იმის, რომ მიუხედავად საბჭოთა საქართველოს ფორმალური ცნობისა, პოლონეთი სცნობს მას, როგორც დაპყრობილს და უცხო ძალების მიერ დაკავებულს და მისი სიმპატიები არის არა დამპყრობელისაკენ, არამედ დაპყრობილებისაკენ.

პოლონეთის ერს, რომელიც თვითონ, ჩვენთან ერთად, დაჩაგრული და დამონებული იყო 140 წლის მანძილზე რუსეთის მიერ, არ შეეძლო არ ეგრძნო 26 მაისს, როდესაც ჩვენ ვდღესასწაულობთ ჩვენი დამოუკიდებლობის და სუვერენობის აღდგენის წლის თავს, მოთხოვნილება გამოეთქვა ჩვენთვის სიმპატიის და მეგობრული განწყობილების გრძნობები.

ეს გრძნობები თხოულობენ გამოხატვას და გამოხატულება მისცა მათ პოლონეთის მთავრობამ ჯერ ჩვენ დღესასწაულზე თავის ოფიციალური წარმომადგენლების გაგზავნით და შემდეგ ეროვნულ ღირსებით აღსავსე პასუხით, რომელიც გამსჭვალულია ჩვენი ერისადმი პატივისცემით და მსურვალე სიმპატიით.

დღე იცოდეს პოლონეთის ერმა და მისმა მთავრობამ, რომ ის «მანიფესტაციები», რომლებსაც აწყობენ დღეს საქართველოში კომუნისტები, რომ ის ვითომდა «პროტესტის ტალღები» და «აღშფოთების ზვირთები», რომლებზედაც მოგვითხრობენ ყოველ დღე კომუნისტური გაზეთები, ეს არ არის არც ჩვენი ხალხის გრძნობათა მანიფესტაცია (ამის საშვალეა ქართველ ხალხს წართმეული აქვს), არამედ ხელოვნურათ მოწყობილი და ნაბრძანებნი. პროტესტის და აღშფოთების ტალღები თუ მართლა აბობოქრებულნი არიან საქართველოში, ისინი დღეს ვერ პოულობენ, საუბედუროთ, გამოსავალს და უძღურნი, ჩაკლულნი არიან ჩვენი ხალხის გულში.

უსაშინელესი მხარე ბოლშევიკური ტირანიისა ის არის. რომ განსხვავებით ისტორიაში ცნობილ სხვა ტირანიულ რეჟიმებთან, დესპოტიური საოკუპაციო ხელისუფლება ჩვენს ქვეყანაში არ კმაყოფილება მარტო იმით, რომ ჩვენ ხალხს, ჩვენს საზოგადოებას, ჩვენ მწერლებს და მეცნიერებს წართმეული აქვთ საშვალეა, უფლება თავიანთი აზრების და გრძნობების გამოთქმის, ისინი იძულებულნი არიან უსაშინელესი რეპრესიების შიშის ქვეშ, ხანგამოშვე-

ბით. როგორც ეს მოესურვება ან დასჯირდება საოკუპაციო ხელისუფლებას. გამოსთქვან სიყვარული და აღფრთოვანება, როდესაც სიძულვილს და აღშფოთებას გრძნობენ და, პირიქით, სიძულვილი და აღშფოთება განაცხადონ მაშინ, როდესაც სიყვარულს და აღფრთოვანებას განიცდიან.

მაგრამ დამცირებულ და პატივყარილ ჩვენი ერის გულში ღვივდება და ძლიერდება არა ნაბრძანები და ხელოვნური, არამედ ნამდვილი და წოფელი აღშფოთების და პროტესტის გრძნობა. ეს იქნება არი ბუტაფორული ზვირთები აღშფოთების და პროტესტის, რომლებიც თუ კომუნისტურ რეპტილიებს დაუჯერებთ, პოლონეთის საკონსულოს ემუქრება თვლისში, არამედ ნამდვილი მდინარე მძლავრია და აბობოქრებული, და ის წაივს იმ უმაგალითო და უსაზიზღრეს ბორბტებას, რომელსაც დღეს საბჭოთა ხელისუფლება ეწოდება და მაშინ ქართველ ხალხს მიეცემა საშვალეა თავის გრძნობების ნამდვილი და გულწრფელი მანიფესტაციის.

ჩვენ ვუთვლით მსურვალე სალამს და გულწრფელ მადლობას პოლონეთის ერს და მის მთავრობას და გამსქალულნი ზიზღის და სიძულვილის გრძნობით ჩვენი ხალხის მტარვალეობისადმი, ჩვენ მივმართავთ ევროპის და მთელ მსოფლიოს საზოგადოებრივ აზრს, აღამაღლოს ჩვენთან ერთათ ხმა პროტესტისა ერის ამოდენ დამცირების და ეროვნულ გრძნობების ამ ზომამდე გაყალბების და გამასხარავეების გამო.

ამას მოითხოვს არა მარტო ქართველი ერის ინტერესები და მისი ღირსება, არამედ ღირსება ადამინის და მოქალაქის, შებღალული, გამასხარავებული და ფეხქვეშ გათვლილი ბოლშევიკების მიერ. ამას მოითხოვს და ამაზე უკლადებს «ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია», რომელიც უანდერძა დიდმა საფრანგეთის რეგოლიუციამ თანამედროვე კაცობრიობას, ამას მოითხოვს ადამიანის შეურაცყოფილი გრძნობა და შელახული სენინდისი.

3. ჩ ე ს ი ა მ ი .

ჩენო-სლოვაკიაში მყოფნი ქართველ ემიგრანტთა საზოგადოებამ, გაეცნო რა 29 ივნისის (1929 წ.) სხდომაზე იმ ამბებს, რომლებიც მოყვა შედგათ ვარშავაში ქართველთა ემიგრანტთა მიერ მოწყობილ დღესასწაულს 11 წლის თავზე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა პოლონეთის ოფიციალურ და საზოგადოებრივ წრეების თანადასწრებით, გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

11 წლის წინათ საქართველომ აღადგინა თავისი სახელმწიფოებრივი დამუკიდებლობა. განთავისუფლებული ერი შეუდგა თავისი პოლიტიკური და სოციალური წყობილების მოწყობას თანამედროვე დემოკრატიის პრინციპების საფუძველზე. საერთაშორისო დემოკრატიამ გამოუწოდა ხელი უცხო უღლისაგან განთავისუფლებულ პატარა, მაგრამ ისტორიით მდიდარ ერს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ცნობილ იქმნა იურიდიულად ევროპის მოწინავე სახელმწიფოების მიერ თანახმად საერთაშორისო უფლებისა. ის ცნობილ იქმნა აგრეთვე საბჭო-



თა რუსეთის მიერ. საქართველოს საშუალება მიეცა გამხდარიყო ღირსეული წევრი ევროპის კულტურული სახელმწიფოების.

მსკოვში გაბატონებულმა დაქტატურამ რუსის ხალხზე ვერ მოითინა მეზობელ დემოკრატიის ასეთი ცდა და ისტორიაში გაუგონარი ვერაგობით თავს დაესხა პატარა საქართველოს, შემოასია მას ყოველ მხრიდან ლაშქარი და დაიპყრო აღორძინების გზაზე შემდგარი ერი. მოხდა ოკუპაცია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესამე წლის თავზე მისი გაცხადებულად, ნაყოფიერი, აღმავლენებლობითი მუშაობისა. გაუქმებულ იქმნა დემოკრატია, დამყარდა ბატონობა მსკოვის კრემლის და მისი აგენტების. შეწყდა ერის ნაციონალური ცხოვრება.

საქართველომ ვერ აიტანა უცხოელთა ტირანია და ერთსულოვნად შეუტია მის ბატონობას. მოხდა ცნობილი 1924 წ. საყოველთაო აჯანყება. შედეგი უკანასკნელის კარგათ იცის მთელმა განათლებულმა კაცობრიობამ, ერთა ლიგამ, ინტერნაციონალმა.

დამთვრალმა დიქტატურამ იძია შური და კიდევ მეტი ბოროტი დაადგა უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებულ ერს.

ბრძოლა მტარვალების წინააღმდეგ გრძელდება, ის მიმდინარეობს სხვა და სხვა ფორმებში და გაგრძელდება მანამ, სანამ საქართველოს ცხოვრება არ მოეწყობა 26 მაისის საფუძველზე. მაგრამ რასაც ვერ ახერხებს დღეს ბოროტებში ჩაქედილი პატარა ერი, აკეთებენ მის მაგიერ სრული მისი ნდობით აღჭურვილი უცხოეთში გარდმხვეწილნი მისი მოჭირნახულენი. მას ყავს ევროპაში, რევოლუციის და დემოკრატიის დედა ქალაქში. პარიზში, მისი ნაციონალური მთავრობა, ინტერპარტიული გაერთიანება, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი და სხვა და სხვა ევროპის სახელმწიფოებში ბრძოლაში ნაცადი ერთგული შვილები. უკანასკნელთა საშვავლებით თავისუფალ პირობებში განათლებული კაცობრიობა გებულობს ქართველი ერის ზრახვებს და მიზნებს. ის არ აკლებს მეტბოლო საქართველოს მის სიმპატიას და თანამგრძობას, არ უშვებს შემთხვევას, რომ შესაფერ დროს გამომამკლავნოს ეს გრძნობები.

და ჩვენ ვნდებით მოწამე, როგორც ყოველ წელს ყველგან, ყველა სახელმწიფოებში, სადაც კი ქართული ემიგრაცია არსებობს, წელსაც ვარშავაში ქართულმა ემიგრანტებმა იდღესასწაულეს თავის ქვეყნის დამოუკიდებლობის 11 წლის თავი. ამ დღესასწაულს დაესწრენ კეთილშობილ პოლონეთის წარმომადგენელნი, როგორც მთავრობის, ისე უმაღლესი საწარმომადგენლო დაწესებულებების და სხვა და სხვა პოლიტიკური პარტიების. არამც თუ გასაკვირალი, არამედ არა ბუნებრივი იქნებოდა, რომ პოლონეთის ღირსეული შვილები სხვაფრივ მოქცეულიყვნენ.

ეს გარემოება კი საკმარისი ვასდა, რომ სტალინის აპარატჩიკებმა ძალით ქუჩაში გამოარეკეს უფლება აყრილი ხალხი და აიძულეს პოლონეთის საპროტესტო რეზოლიუციის მისაღებად. ყველამ იცის ფსი ასეთი მიტინგების და კრებების საბჭოთა სახელმწიფოში.

დაე იცოდეს პოლონეთმა, რომ საქართველო არას დროს არ დაივიწყებს მის ძმურ თანაგრძობას დღევანდელ მის გასაქარში. ჩვენ, ჩეხოსლავაკიაში მცხოვრებნი ქართველი ემიგრანტები, ვსარგებლობთ შემთხვევას და ვუცხადებთ უგულითადეს მადლობას პოლონეთის ერის წარმომადგენლებს მათი რაინდული საქციელისათვის, ვუცხადებთ მადლობას ყველა მათ, ვინც არ ივიწყებს დღევანდელ საქართველოს ბედს, ჩვენ აღფრთოვანებული ვართ საფრანგეთის მოპყრობით (ქართველის ამ მეორე სამშობლოთი) ჩვენი ერის ბედისადმი, სადაც იმყოფება ამ ეამად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ჩვენ გულწრფელ მადლობას ვწირავთ ჩეხოსლოვაკიას, სად ჩვენ ვსარგებლობთ თავისუფალ თავშესაფარს მთელი წლების განმავლობაში, საშვავლება გვეძლევა მოვიგონოთ ყოველწობით ჩვენი დამოუკიდებლობის დღე, რომელსაც არა ერთი და ორი მისი გამოჩენილი, ბრძოლაში გაჯალარავებული შვილნი ამშვენებენ, აძლიერებენ ჩვენს იმედს და არ გვაკლებენ საერთოდ თანაგრძობას.

ჩვენ შორიდგან მივესალმებით ჩვენს ძვირფასს სამშობლოს და, როგორც ყოველთვის, ვპირდებით, არ უღალატოთ მას ბრძოლაში. დროებითია მისი ტანჯვა, მისა განთავისუფლების დღე ახლოვდება.

4. ე ე ნ ე ვ ა შ ი.

«საერთაშორისო კომიტეტი საქართველოსთვის» აღნიშნავს:

ვარშავაში საბჭოთა მთავრობამ მოინდომა მოეხდინა დიპლომატიური ძალდატანება პოლონეთის მთავრობაზე იმ მონაწილეობის გამო, რომელიც მან მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის სახეიმო დღეობაში; ტფილისში კი იგივე მთავრობა აწყობს მანიფესტაციას პოლონეთის წარმომადგენლის წინააღმდეგ.

ამ ამბავთა გამო, «საერთაშორისო კომიტეტი საქართველოსთვის» აცხადებს:

ქართველი ერი, მას აქეთ რაც საბჭოთა ლაშქარმა, მარტში, 1921 წელს, დაამხო მისი დამოუკიდებლობა, ცნობილი და აღიარებული საერთაშორისო ხელშეკრულებით, მოკლებლებულია ყოველ შესაძლებლობას იდღესასწაულოს თავის ტერიტორიაზე სასახლო დღენი თავის ისტორიისა. მაგრამ დღემდე ვადმხვეწილი ქართველები, შეჩინული სხვა და სხვა ქვეყნებში, სრულის თავისუფლებით ზეიმობდენ საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნულ დღეობას, რომელშიც მეგობრულ მონაწილეობას იღებდენ ხოლმე იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლებიც, რომლებმაც მათ მისცეს თავშესაფარი და რომელთაც ოფიციალური, დიპლომატიური განწყობილება აქვთ საქართველოდან განდევნილ საქართველოს ეროვნულ მთავრობასთან.

დღეს კი ბოლშევიკური მთავრობა არ კმაყოფილდება საქართველოში მყოფ ქართველების დატუსაღებით გეპეუს სარდაფებში, მათი ციმბირში თუ სოლოვკაში გადასახლებით, მათი ქლექით და დარბევით: იგი სდევნის მძულვარებით ქართველებს უცხო ქვეყნებშიდაც კი, სადაც მათ მოიპოვეს თავ-

შესაფარი, ეძებენ დიპლომატიურ სრიკებს, რომ ზეგავლენა იქონიონ იმ სახელმწიფოებზე, სადაც შეხიზნული არიან ქართველები. და ცდილობენ, ასტუხონ მთელ დედამიწის ზურგზე სისტემატიური დევნა და გაბახება ამ უბედური დევნილებისა.

გულნატკენი და შეურაცხველი ამისთანა საქციელით, რომელიც ძირითად ეწინააღმდეგება როგორც საერთაშორისო სამართლის, ისე ადამიანობის ელემენტარულ გრძობას, «საერთაშორისო კომიტეტი საქართველოსთვის» პროტესტს აცხადებს ყოველნაირ ძალმხრეობის წინააღმდეგ, რომლისა მსხვერპლი არიან ქართველები; უცხადებს თავის ღრმა თანაგრძობას წამებულ ქართველ ერს, და მოუწოდებს ქვეყნიერების საზოგადოებრივ აზრს ბოლშევიკების მიერ დატარებულ და წამებულ ქართველების სასარგებლოდ.

«საქართველოს საკითხი»

ჭეშმარიტად უბადრუკია ის პოლიტიკოსი, მოადგილე ბ. ჩიჩერინისა მოსკოვში, რომელმაც მიანდო ბ. ბოგომოლოვს \*\*) პროტესტის გამოცხადება საგარეო საქმეთა სამინისტროში—ვარშავაში ქართულ დელეგაციის გამართვის გამო.

ამ პროტესტით უპირველეს ყოვლისა შეუძლიათ კმაყოფილი დარჩენ ტანჯულ ქართველი ერის წარმომადგენელი, რომელიც არ შეუთრგუნენ საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას. საქართველოს საკითხი კვლავ შეიჭრა ევროპის საზოგადოებრივი აზრის დღიურ წესრიგში.

ბ. ბოგომოლოვის პროტესტი საბჭოთა პრესამ გამოიყენა, როგორც პარალი ცოფმორეული ანტიპოლონურ აგიტაციისათვის. განსაკუთრებით ჭკუაზე ირყევა საბჭოთა პრესა კავკასიაში. არ დაკმაყოფილდენ იქ პრესის კამპანიითაც კი და მოწყობილი იქნა მთელი რიგი მიტინგებისა და დემონსტრაციების. ერთი ასეთი დემონსტრაციათაგანი, გამართული თფილისში 12 ამა თვეს, მილიციის ქედმხრით თანადასწრებით, გამოყენებულ იქნა ჩვენს საკონსულოზე ყაჩაღურათ თავდასასხმელათ, რომლის (საკონსულოს) შინაგანი მოწყობილობა ნაწილობრივ დაზიანებულ იქნა. შედეგი, როგორც საზოგადოთ სთება ასეთ შენთხვევაში,—დიდი ბოდიში კარახანისა წარმომადგენლის პატივსუფ.

ჩვენ არ ვეჭვობთ ამ მოვლენის დიპლომატიურ მხარის შეფასებას. ფიქრადაც არ გვაქვს მიუთითოთ საგარეო საქმეთა სამინისტროს, თუ როგორი უნდა იყოს შემდეგი მისი ნაბიჯი. საჭიროა მხოლოდ ერთი რამის დადასტურება: «ქურხს ქუდი ეწვის». მართლაც რაშია საქმე? საქმე ის არის, რომ ფაქტი ფაქტათ რჩება: შეიარაღებული საბჭოთა მესკოვი მსეცურის გზით თავს დაესხა დამოუკიდებელ საქართველოს.

\*) მეთაური წერილი, დაბეჭდილი პოლონურ გაზეთში «გლოს პრავდი», რომელიც ახლო დგას პოლონეთის მთავრობის წრებთან. რედ.

\*\*) რუსეთის ელჩი ვარშავაში.

\*\*\*) პოლონეთის ელჩი მოსკოვში.

ველოს, მოსტარა მას საკუთარი სახელმწიფოებრივობა და ძალდატანებით შეუერთა საბჭოებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველო იმყოფება საბჭოთა ოკუპაციის ქვეშ და ამ ფაქტს საბჭოთა პრესის ვერავითარი ყიქინი ვერ მიჩქმალავს და მით უფრო ვერავის გადაარწმუნებს ამაში ის ავანტურები, რომლებსაც ადგილი ქონდა თფილისში. დღეს უკვე მთელი ქვეყნიერობა საკმაოდ გარკვეულია იმაში, თუ როგორ ეწყობა საბჭოებში ეს «გრანდიოზული დემონსტრაციები».

კავკასიის ოკუპანტები ძალიან ცთებიან, თუ ფიქრობენ, რომ მოიპოვება ევროპაში თუ გინდ ერთი კაციც კი, რომელიც წუთით დაუშვებს ისეთ აზრს, თითქმის ეს ქართველი ხალხის დემონსტრაცია ყოფილიყო ტფილისში ჩვენი საკონსულოს სამტროდ მოწყობილი.

და თუ საბჭოები ფიქრობენ, რომ მთელ ამ ანტიპოლონურ ბუქნაობას, მათ მიერ პოლონეთის საწინააღმდეგოთ კავკასიაში ჩატარებულს, მიზნათ აქვს დასახული, გული აგვიცრუოს კავკასიის ერებზე, ან კიდევ დაგვარწმუნოს იმაში რომ, კავკასიის ერნი კარგ მდგომარეობაში არიან მოსკოვის უღელ ქვეშ, დიდათ ცდებიან.

არა ქართველი ერის, არამედ საქართველოს ოკუპანტთა დემონსტრაცია გახლდათ ტფილისში პოლონეთის საკონსულოს წინააღმდეგ.

და მართლაც, რატომ უნდა ვეზიზღებოდეთ ჩვენს ქართველ ხალხს? იმიტომ ხომ არა, რომ მთელი პოლონეთი, განურჩევლად რწმენისა, აფასებს და პატივს სცემს ამ ძველს და კეთილშობილ ერს. იმიტომ ტომ ხომ არა, რომ თანაუგრძობს მას ამ უბედურებაში ყოფნის დროს და სულით და გულით უსურვებს მას უკეთესს, ბრწყინვალე მომავალს და თავიუფლებას?

როგორ წარმოვიდგინოთ, რომ ქართველი ხალხი შეურაცხველი დარჩა მით, რომ ვარშავაში ქართველ პატრიოტთა მიერ გამართულ დელეგაციულზე წარმოდგენილი იყო მთელი რიგი პოლონეთის მოღვაწეთა, რომელთა დასწრების მიზანი იყო, საქართველოსადმი პატივისცემის და სიმპატიის მანიფესტაცია გაეკეთებიათ?

შეიძლება «იმპერიალისტურ» და «ფაშისტურ» პოლონეთს ბოროტი განძრახვა ქონდეს კავკასიის დაპყრობისა, ისე, როგორც ეს ვითომდა უკრაინის მიმართ? სასაცილო ამბავია! ვფიქრობთ, არ მოიპოვება კავკასიაში ყველაზე უბრიყვესი კომუნისტიც კი, რომელიც დაიჯერებს, რომ პოლონეთი ხელს იშვერს კავკასიაზე. დაბოლოს კარგა ხანია, რაც წლიდან წლამდე ქართული დელეგაციული იმართება პოლონეთში. ან შეიძლება მართლაც ეს «პანსკა» პოლონეთი თანაუგრძობს უბედო საქართველოს და ადერბეიჯანს? ყველამ უწყის, რომ პარიზში საფრანგეთის მთავრობასთან დღემდის არსებობს საქართველოს მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლობა, რომელიც სარგებლობს ყველა იმ პრივილეგიებს, როგორც ეს პარიზში საბჭოთა წარმომადგენლობას აქვს მინიჭებული.

პარიზშივე აქვს დროებითი სადგომი საქართვე-



ლოს ეროვნულ მთავრობას, რომელიც იძულებული გახდა გადახვეწილიყო ემიგრაციაში in corpore. იმავე პარიზში წლიდან წლამდე იმართება დიდი ეროვნული დღესასწაულები საქართველოს და ადერბეიჯანის, რომელსაც ესწრებიან საფრანგეთის საზოგადოებრივობის რჩეული პირები, საფრანგეთის მთავრობის და ლაშქრის წარმომადგენლები.

ასეთივე დღესასწაული გაიმართა იქ მიმდინარე წელსაც. რატომ საბჭოთა მთავრობა ამ ფაქტებს, რომელსაც ადგილი აქვს ევროპაში, პროტესტით არ ეგებება? რატომ, რომ საბჭოთა წარმომადგენელი პარიზში არ მიბაძვს ბ. ბოგომოლოვს და არ მიეშურება პროტესტით Quai d'Orsay-ზე? რატომ? დემართო ჩემო,—აბა რა საჭიროა ამის კითხვა! ცნობილია, რომ საფრანგეთი ოდისაც იმდენ სესხს აძლევდა მეფის რუსეთს და დღევანდელი საბჭოთა რუსეთი ასევე მეტად საჭიროებს სესხს და რატომ უნდა გააგულისიანოს ამდენ ბანკირების და რანტიების ქვეყანა!

მაგრამ აი ინგლისი. დღეს იქ ხელისუფლებას დაუბრუნდა მკდონალდი, რომელსაც სურვილიც აქვს დიპლომატიური კავშირი გააბას საბჭოთა რუსეთთან. იგივე მკდონალდი არ იყო სტუმარი საქართველოს ეროვნულ მთავრობისა 1920 წ. ტფილისში? მეგობარი არ არის ყორდანიას, წერეთლის, — რომლებიც დღეს ემიგრაციაში იმყოფებიან? განა ერთად არ სხედან მეორე ინტერნაციონალის კონგრესებზე? მაგრამ რაღაც არ ისმის რა იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობა, იმის მოლოდინში, რომ კავშირს გააბას ინგლისის მკდონალდის მთავრობასთან, მოითხოვდეს მისგან (მკდონალდისაგან) დეკლარაციას, რომ შესწყვიტოს ყოველივე კავშირი ქართველ ემიგრაციასთან, და დაჰკმოს მისი პრობაგანდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

და კიდევ ერთი მაგალითი: არ გასულა თვე, რაც ამერიკის სენატში სენატორთა ჯგუფმა წინადადება შეიტანა, რომ შეერთებულ შტატების მთავრობამ იცნოს დამოუკიდებლობა საქართველოს, ადერბეიჯანის და ჩრდილოეთ კავკასიის.

დაბოლოს უკანასკნელი ფაქტი, რომელსაც პრესა იტყობინება: კონსტანტინოპოლში რამდენიმე კვირის უკან გამართულ იქნა დიდი დღესასწაული ადერბეიჯანელთა მიერ მათი დამოუკიდებლობის გამოცხადების წლისთავზე, რომელიც დაესწრენ რაგორც საზოგადოების ისე მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლები. მაშ თურქეთშიაც, რომელსაც საბჭოთა რუსეთი თავის მეგობრად და მოკავშირეთ თვლის, იქაც მომხდარა მანიფესტაცია კავკასიის ტყვეთ ქმნილ ერთა სასარგებლოთ.

სხვა სიტყვებით, მსოფლიოს მთელ სივრცე-სივრცეში ყოველგან ვხედავთ ცლცხალ სიმპატიას კავკასიის ხალხთადმი, რომელზედაც მოახდინეს მხეცობა და ძალდატანება. მაშ რათ უყვირო, რომ ეს სიმპატია და თანაგრძნობა არსებობს პოლონეთშიაც, რომელიც თვით იყო მონაბის უღლის ქვეშ, რომელმაც, უკეთ ვინმე რომელიმე სხვა ერმა, იცის, რა სამკაულია დამოუკიდებლობა. ეს სიმპატია კავკასიის ერთადმი პოლონეთში არსებობდა და მარად იარსებებს. და დიდათ ცთებიან საბჭოები, თუ ფიქრო-

ბენ, რომ თავიანთ პრესის ხმაურობით, თუ პოლონეთის საკონსულოს ფანჯრების ჩაღწეით დაგვაფრთხობენ და იძულებულს გვეყოფენ, დავმალთ ეს სიმპატია.

პოლონეთი სუვერენული სახელმწიფოა და ბ. ბოგომოლოვი ვერ უკარანხებს პოლონეთის ერს, ვის მოუპყრას სამპატიით და რა საშვალებით გამოსახოს ეს სიმპატია. ეს ჩვენი შინაური საქმეა, — ისე როგორც საბჭოების შინაური საქმეა, სხვადასხვა დომბალებს, იასინსკებს აძლიონ თავშესაფარი, თავიანთ მფარველობის ქვეშ ყავდეთ აღმოსავლეთ გალიციის უკრაინელები, რომელთაც ნებას აძლევენ მოაწყონ ანტიპოლონური დემონსტრაციები სამპოთა ოფიციალურ ყრილობაზე.

ტფილისის ავანტურის მიზნები სხვა რამეში უნდა ვეძიოთ. სუპარატული მოძრაობა კავკასიაში, რაც დრო მიდის, მით უფრო გრანდიოზულ სახეს ღებულობს. საბჭოთა ოკუპანტები კი ცთილობენ მოგვაჩვენონ, რომ ხილნი კმაყოფილია მათი ხელისუფლების, მარა ამას ხომ ევროპაში ერთი კაციც არ დაიჯერებს.

სამაგიეროთ ყველა დაგვეთანხმება, რომ გვეუფერ კიდევ კარგათ მოქმედებს კავკასიაში და იცის, როგორ მოაწყოს ქუჩური ლახლანდარობა. იცის აგრეთვე, რომ პოლონეთი არის საერთაშორისო ბანკირების ქვეყანა; ამიტომ მოუწყვეს რა ავანტურები საქართველოსადმი სიმპატიის გამო, მით სურდათ დაბრკოლებათა შექმნა სახელმწიფოსათვის, რომელსაც საეჭვო სიამოვნება აქვს მათთან მეზობლობისა და რომლის ბანკიდან არ გადაცურდება კრემლის მბრძანებელთა კასაში ოქროს ნაკადულები. აღრიალდენ რა პოლონეთის წინააღმდეგ წითელი მოსკოვის მბრძანებლები, მით უმხელენ ქვეყნიერობას, რომ მათთვის საქართველოს საკითხი დიდათ არა სასიამოვნო საკითხია.

ეს ძალიან კარგათ ვიცით, მაგრამ ცდებით დიდათ, თუ ფიქრობთ, რომ შესძლებთ ასეთი მეტოდებით ჯვარი გადაუხვათ კავკასიის ხალხთა გათვლილ უფლებებს დი მით უფრო ცდებით, თუ ფიქრობთ, რომ შესძლებთ განათლებულ ქვეყნიერობას, დაავიწყებინოთ ამ ერთა გაუბედურება.

კავკასიის ერთა ტანჯვები ევროპის სინდისის ერთი უდიდესი ყრილობათაგანია. პოლონეთს შეუძლია იამაყოს მით, რომ მისი სიმპატია კავკასიის ერთადმი ასე აფრთხობს და ბნედას გვრის ამ კეკლუც და რაინდ ქვეყნის ოკუპანტებს.

„მ რ ი ს ხ ა ნ ე მ ა ზ რ ა ტ ი ხ ი ლ ე მ ბ ა“

ამ პამპულა სათაურით გიენისის «კომუნისტში» იწყება ბალშევიკური წოდების მორიგი ბრანი და შფოთი. ტალახის სროლა და ჭაობიდან სისინი წრესგადასულია, ზომა და ტაქტი დაკარგულია, რა მოხდა, რამ შეაზანზარა ბნელეთის კარები? საერთოდ მოსკოველ ხაზინებს სჩვევია საბაბის ჩხრეკა, რათა მთელი ხალხის და უმადური პარტიული ოხლკრატის გულისყური საგარეო მოვლენას მიაპყრას. მაგ-

რამ იმ «საბაბს» იქით ადვილი აღმოაჩენია საბჭოთა ფრიად უნუგეშო შინაური მდგომარეობა; პირველი მეორედან გამოდის აფერადებს და საბჭოთა წახდენის ძველ ლოლიკურ ძაფს, როგორც მძივი ახალი, აიკინძება.

ასეთივე საბჭოების მიერ დაუღვეველი ბოლშის-ნთხევა პოლონეთში გამართულ ემიგრანტულ საღამოზე ადგილობრივ მოქალაქეების დასწრების გამო. რა გუყვით თუ ამ მოქალაქეთა შორის ზოგიერთი ოფიციალურ წრესაც ეკუთვნოდა. ჯერ ხომ მთელი ქვეყანა არ მოქცეულა წითელი ყაზარმის რეგლამენტის ჩარჩოებში, რომ შეხედულებისა და სინდისის თავისუფლება აღარსად იყოს. მართალია, პოლონეთის წამებელი დემოკრატია ძლიერ უკაცრავადაა, რომ წითელი მოლახის მძვარს იმთავითვე დაერიდა და თავისი ეროვნული თვითშემცნობის რეალური სახე გამოჰკვეთა. იქნებ იმავე დემოკრატიათა გადაწყობა ერის უფლებებს, როცა უმწიკვლო პატრიოტების ძვლებით მოკირწყალულ მამულზე ისტორიის ახალი ყანდარმი აღარ გააბუნდრუქა. დიხს, სწორედ ამან გააბრაზა საიმპერიო მიწების დღევანდელი შემკრებნი და სულიერი სწორწონაობის ხაზიდან დორბლის მორევეში გადაყარა.


«კომუნისტი»-ს შემდეგ ნომრებში, როგორც სიუხვის რქიდან, გადმოლაგებულია ტრაფარეტული ლანძღვა-გინება ქართულ და სხვა ეროვნების ემიგრაციის მიმართ, არც ევროპის ქვეყნებისა და ტოვებული უყურადღებობა. ჯერ იყო და პოლონეთის საკანსულოზე თავდასხმა მიაფუჩჩეს, პოლიციას გადააბრალებს. როცა ამ გლახა ეშმაკობამ არ გასჭრა, მტერსა თუ მოყვარეს ყველას ოფიციალურ პროტესტზე ხელს აწერინებენ. საპროტესტო მიტინგობია ნამდვილ რიტუალურ აქტად გადაიქცა, და ვაი მას, ვინც მის სიწმინდეში ეჭვის შეტანას გაბედავს. მაძლარი კომუნისტი, გაძარცვული მუშა, შევიწროებული პროფესორი და საკრუქ ფარად მიჩნეული ამოდენა სოფლის მოსახლეობა, ყველა ერთ ფილმში გამოიყვანეს, გინდათ თუ არა, ყველამ ჩემს ტაფაში უნდა მოიხრაკათო. მაგრამ საღდა ისეთი უკუათმყოფელი, რომ ამ ახირებული «ერთსულოვნობის» იქით ჩეკისტის მაუზერის ჯადო არ აღმოაჩინოს და მთელი ამ რეგენული მამლაყინწაობის ფასი არ იცოდეს. მთელ რიგ საპროტესტო წერილებს მხოლოდდა პროვოკაციის სუნი უდის, თითქოს ველარ მალავენ წითელი შოგინიზმის იმ ფრიად ინტიმურ თვალსაზრისს, რომ განთავისუფლებული მეზობელი ქვეყანა საბჭოთა წილიდან ვერაგულად გაქცეული რამდენიმე გუბერნიაა და არა ერთი, მტარებელი გარდაუვალი სუვერენობის, და აი, ფინებიც მოითხრვენ მის გასაბჭოებას, შემუსვრას, შეჩვენებას. პუნქტი, საიდანაც საბჭოთა გონების დეფიციტი იწყება, შემდეგია: თურმე პოლონეთს ემიგრანტები არ გაუტრეკია, ამით პოლონეთი საბჭოთა შინაურ საქმეებში ერევაო. ამ უბადრუკ არგუმენტს ქოჩორში წაჰკიდებია ყველა რანგისა და ტარისფის ჯამიტლაკია კალმოსანი და მიათრევეს სახაზინო პრესაში, თითქოს

მართალი აზრის სამსჯავრო იქ ოდესმე ყოფილიყოს. რას ემსახურება მთელი ეს დეკრეტით ნაბრძანები ოლოლ-ტრიალი? ის წამოწყებულია იმ მიზნით, რომ ქვეყნის თვალწინ ერთი აფაფხურდეს და შინაურ მტერსაც შიში აგრძობინოს. საბჭოთა შინაური მტერი კი მთელი საბჭოთა კავშირის მოსახლეობაა. ამის დასაუღლოებლად ყველა საშვალეობა გამოართლებულია. მაკიაველიზმის აპოთეოზი მზათაა. ამიტომ არაა გასაკვირველი, რომ პოლონელთა მაგალითის უაღრესად ზნეობრივი მოტივი ჰსურთ თავისებურად დაახურდავონ და სოვეტებისადმი კინალამ საომარ აგრესიად გაასაღონ. ასეთი იშკილბაზობა საბჭოებს განსაკუთრებით სჭირია დღეს, ქრონიკული სიმშილის პერიოდში.

საბჭოთა უნიჭო კომედიის უთავო მსახიობებს დავთარი იმდენად აერია, რომ ქვენა ზრახვების დამალვას ველარ ახერხებენ და ემუქრებიან ყველას და ყველაფრით. საპროტესტო მიტინგები ერთობ ბლომად მოეწყო. რისი დიდია, ეფექტი საცოდავი, ნაპალადევი. ზოგიერთი წვევისმძებნელი ოქროპირის სიბეცე იქამდისაც კი მიდის, რომ საქართველოს დაპყრობა ეროვნული საკითხის სამართლიანად გადაჭრეს კლასიკურ შედეგად მიჩნია და თან ჰყოფნის უტიფრობა, რომ სხვის მილიტარისტობაზე ილაპარაკოს. ბოლშევიკური დემაგოგიის ხმა არასდროს არ ყოფილა ისე აშკარად წამძღვარებული პირწავარდნილი მხეცის ინსტიქტით, როგორც დღეს. ამტყდარია ნამდვილად უკუამხიარულთა საკადრისი ერთი ვაი-უშველეებელი, რათა ამ ჩოჩოლში გაკოტრების სურათს მტვერი შეაყარონ. მიტინგები ყველგან «კაზინონი» ელფერისაა. მოვა მომხსენებელი, უმგანო ცილისწამებთა დომხალს პოლიტიკური ექიმბაშის რეცეპტით შეხანსლის, პროვოკაციის საწამლავს მოაპკურებს, და მერე პარტიულ ბრბოს ეკითხება: ხომ ხედავთ, რა ბედაურები ვართ, ომი არ გვინდა. თორემ საომრად მზად განლაგართო. ეს არის და ეს არის. დამახასიათებელია თვით საკონსულოზე თვდასხმა, რასაც 9 და 13 ივნისის «კომუნისტი» ნიანგის ცრემლებ ნარევი მობოდიშებით აგვიწერს ხლომე. წაქეზებული ბრბო გარს ერტყმის საკონსულოს ლაჩრულად, უტიფრად, მუხანათურად. პოლიციის უამრავი ნაწილი დემონსტრანტების რიგებში იყო, თუმცა ორიოდ ფიგურანტი საკონსულოსთან გადმოჩაქურდა და, ფილმის გეგმისამებრ, «დარაჯად» აეტუნა. საქმე დაიწყო საკონსულოს წინ უთავბოლო მიტინგობიით. მუქარი და საგინებელი პლაკატების გაკვრით. შემდეგ კი ქვის, ბოლის და კეტების სეტყვა საკონსულოსკენ გაეჭანა და შესაფერი ეფექტით დასრულდა. საკონსულოს პერსონალმა, მიუხედავად ბრბოს გინებისა და ბოლშევიკების გამომწვევი ტანისა, თავი სამავალითოდ დაიჭირა.

უთაობა გრძელდება მაგრამ სტალინი კარგად იყოს და თავი რად სჭირია იმ პარტიას, რომლის იდეალი მხოლოდ სტომაქია და საშვალეობა მუცლით ხოხიალი.





ს ი ტ ყ მ ა

წარმოქმნილი კ. ჩხეიძის ხელგაზე რ. ანსენიძის მიერ.

(16 ივნისი 1929 წელი)

ჩვენ ჩვეულებით გადაგვექცა აქ, ამ საფლავზე მოსვლა ყოველი წლის თავზე. და ეს კარგი ჩვეულებაა; ვინაიდან ის, ვინც ამ ცივი ლოდის ქვეშ განისვენებს, ღირსია იმის, რომ მის წინაშე მოვიდეთ და მისგან ახალ-ახალი გაკვეთილები მივიღოთ.

კ. ჩხეიძე—ეს დიდი ადამიანია, დიდი მოღვაწე, რომლის სახელი დაამშვენებდა არა მარტო პატარა საქართველოს. და ის მართლაც ცნობილი იყო არა მარტო ჩვენში. მას იცნობდა მთელი რუსეთი, რომელთანაც ჩვენი ცხოვრება გადაბმული იყო მაშინ საერთო ბრძოლით და საერთო მიზნებით. კიდევ მეტი: მისი სახელი ცნობილი იყო მთელ ევროპისთვის.

და რა დაუფასებელი განძი იყო იგი ჩვენი საქმიანობისთვის, ჩვენი ერის უფლებათათვის ბრძოლაში! და ასეთი ადამიანი დავკარგეთ ჩვენ!

მე არ შემიძლია, და არც ვფიქრობ, აქ, მოკლე სიტყვაში თუნდა რამდენიმე მინუტ სრული დახასიათება ვცადო მისი ცხოვრების და მოღვაწეობის. მე მინდა მხოლოდ ზოგიერთი საზნები მოვკეთ მისი ბუნების.

კ. ჩხეიძე 1864 წელს დაიბადა სოფელ ფუთში, ზემო-იმერეთში. ეს იყო ის დრო, როცა ბატონყმობა გადაეარდა და გლეხი ადამიანთ იქნა აღიარებული. ახალი ცხოვრების მოთხოვნილების მიხედვით ღამა მისმა სვიმონმა პატარა კარლო ქუთაისის გიმნაზიაში მიიბარა, რომლის უკანასკნელ კლასის დათავება არ დასცალდა, ისე გამოირიცხეს სასწავლებლიდან. მაგრამ კარლოს ღრმათ ჩარჩა სიყვარული ცოდნის, განვითარების, და ის თვით იკვლევს გზას. მალე მას ვხვდავთ ჯერ ადვისს, შემდეგ ხარკოვის უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენლათ. ეჭვი არ უნდა აქ გაეცნო იგი იმ დროის მოწინავე იდეებს და აზრებს.

და როცა საქართველოს მიწა პირველად გადაისერა რკინის გზის ლიანდაგით, როცა მატარებლის კივილმა ამცნო ქვეყანას ახალი ურთიერთობის შემოქმერა, როცა მიწის გული ვადიშალა და ჭიათურის მალარობმა შავათ შეღებებს ყვირილა და მისი მწვანე მიდამოები,—ეს იყო მე-80-90 წლებში, კარლო უკვე საზოგადო ასპარეზზე გამოდის, როგორც ახალი ცხოვრების მოციქული.

მან იმ თავითვე შეიგნო, რომ თანამედროვე საზოგადოების, თუ ერის, წინსვლა და განვითარება შეიძლება მხოლოდ ახალ ცხოვრების ჭაბანში შებმით, ხოლო ამ ახალ, ფულის მეურნეობით წარმოშობილ მოპირდაპირე კლასთა შორის იგი უჭოქმანოთ დადგა მშრომელთა მხარეზე: მუშათა კლასი იცნო მომავლის მთავარ ძალათ და მისი იდეალი თავის იდეალათ. იგი გახდა სოციალისტი—მარქის სიმდეგარი.

და კ. ჩხეიძე იყო ერთი იმ მცირედთაგანი, რომელთაც ეგ. ნინოშვილთან ერთათ ჩაუყარეს საფუძველი სოც.-დემ. მუშათა პარტიას საქართველოში, ან უკეთ მის წინაპარს, მესამე დასს. ამ დასის და პა-

რტიის 30 წლის მეტის მოღვაწეობა, მთელი ეპოქა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, ეპოქა მდიდარი შინაარსით და შედეგებით. ესაა ეპოქა, რომლის განმავლობაში ქართველი მასსა, ხალხი, მშრომელი სოფლის და ქალაქის, გაიზარდა, გაადამიანდა თვით, ამაღლდა და ადამიანური უფლებები მოითხოვა, საერთაშორისო მოძრაობას ეზიარა, ერის ცხოვრების აქტიური მონაწილე გახდა, ერთ იქცა. ისტორიული მემკვიდრეობა მიიღო, შეიშნო და შეითვისა.

კარლო ამ უზარმაზარი რევოლუციური გარდაქმნის ერთი უდიდესი მოღვაწეთაგანი იყო, როგორც ლეგალურ, ისე არალეგალურ ასპარეზზე. ის ყველგან, დიდსა და მცირე საქმეს ერთნაირი ხალისით და გულდასმით მუშაობდა, სადაც კი მოითხოვდა გარემოება. მისი ბუნების განსაკუთრებით სტიქიას კი შეადგენდა ფართე, მასსიური მუშაობა, ღიათ, ახდითლათ ქვეყნის წინაშე დგომა და მოქმედება. აქ იქ ფართე შლიდა ფრთებს და მალა სწევდა ბრძოლის დრომას. მაგრამ ეს დიდი ადამიანი. იყო იმავე დროს უბრალო, თავდაბალი, მორიდებული. სიპატარავით მას საქმე არასოდეს დაუწუნდა, მაგრამ როცა 1907 წ. მისი კანდიდატურა წამოაღდა დიდ პოსტზე.—სახელმწიფო სათათბიროში უნდა გაგვეგზავნა,—მასსოვს, იგი უარობდა, უკან დგებოდა. სრულიად გულწრფელათ ამ დიდ საქმის შემართვას ერიდებოდა: მას აფიქრებდა სიდიდე მოვალეობის და სიმძიმე პასუხისმგებლობის. ეს გრძობა პასუხისმგებლობის მას უკიდურესობამდე ქონდა განვითარებული. არ მოვეუშვით და შევებით. და არც მოვსტყუვდით. მას იქ სასახლოთ და სასიქილოთ ეჭირა თავი.

მეტათ მძიმე იყო სახ. დუმანი მოღვაწეობა გამარჯვებულ რეაქციის მძვინვარების ხანაში. შეიძლება უფრო მძიმე. ვინემ დღეს ბოლშევიკურ რეჟიმში. ბოლშევიკები ხმას არავის ალებინებენ. ბევრი ცოდნა გქონდეს—ვერ გამოიჩენ. არ გქონდეს და იგიც არ გამოჩნდება. მაგრამ აბა მიბრძანდით საქვეყნო ტრიბუნაზე, სადაც შენს გვერდით და შენს წინამდეგ გამოდიან ინტელიგენციის, ბურჟუაზიის და ფეოდალების საუკეთესო ძალები, სახელმწიფო მუშაობაში დახელოვნებულინი, განსწავლულნი, და სცადეთ დაუპირდაპიროთ მათ დროშა მუშათა კლასის, დროშა ახალი და მათთვის სრულიად მიუღებელი. აქ არ გეყოფათ გაბედულება და თავგამოდება, ეს უდიდესი ღირსება მებრძოლ ახალგაზდობის. აქ გინდა ცოდნა, დაკვირვება, ნიჭი მჭერმეტყველების, ზეციდან მონაბერი, გონება გახსნილი და აზრი ფართოთ ნავარჯიშევი.

ჩვენი კარლო, ჩვენი «ბრძენი», როგორც ვეძახდით, აქაც თავის სიმალეზე აღმოჩნდა. რეაქციის ბანაკში შეჭრილი,—სახ. სათათბირო კი რეაქციონერთა უმრავლესობისგან შესდგებოდა,—თავის 15 ამხანაგთან ერთათ, რომელთაგან უმეტესობა მუშეები იყო, იგი მედგრათ და დაუღალავათ იცავდა მშრო-



მელთა და დაჩაგრულთა ინტერესებს: დაჩაგრულ კლასებს და დაჩაგრულ ერებს. ამას გეტყვისთ პოლონეთი და ფინლიანდია და სხვ.

მოწინააღმდეგენიც გრძნობდენ, რომ კარლო იყო ღირსეული მოპირდაპირე, ანგარიშ-გასაწევი, ჩამაფიქრებელი: ენამახვილი, სიტყვა მქვერი, გაბედული და თან გაზომილი, მოჭრილი ფრაზეებით. უნდა გენახათ, როგორ გამორბოდენ კულუარებიდან დეპუტატები სხდომის დარბაზისაკენ, როცა კ. ჩხეიძე ტრიბუნაზე აღიოდა, რომ გეგრძნოთ სიამაყე ამ საქართველოს მუშათა კლასის ღირსეული წარმომადგენლით.

რამდენი სიძნელე ელოდებოდა მას წინ! გერმანე მოწინააღმდეგეთა გარდა შინაც ყავდა მსჭრი მომჩივნილი: თვით სოც.-დემ. ფრაქციაში ბოლშევიკი დეპუტატები თავის მეთაურით, მალინოვსკით, რომელიც მუდამ ავანტიურისკენ იქაჩებოდა თანახმით ლენინის და პოლიციის დირექტივებისა. იგი შემდეგ საიდუმლო აგენტი აღმოჩნდა.

რამდენი სიძინჯე, თავდაპირილობა, გონიერება და მოფიქრება იყო საჭირო. რა ხასიათის სიმტკიცე და ღრმა რწმენა თავის გზის სისწორეში, რომ ამდენ შინ და გარეთ შემოჩენილ მაცდურებს სადმე არ გადაეჩხნათ. და მხოლოდ კარლოს ძლიერს და მყარ ნებისყოფას, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძობით გაქვითკირებულს, შეეძლო მუდამ ფხიზელი დარაჯი ყოფილიყო თავის დროშის, აღებული მოვალეობის. ორჯერ იყო კარლო არჩეული დეპუტატათ: მე-3 და 4-ე სათათბიროში: და დიდი სახელი ჰქონდა კიდევ მოხვეჭილი მთელ რუსეთის მუშათა კლასში და ფართე საზოგადოებაში.

გასაკვირველი არაა, რომ ცარიზმის დაცემის შემდეგ 1917 წელს, კარლო ბუნებრივად მოხვდა რევოლუციის სათავეში. იგი იყო თავმჯდომარე ჯერ პეტერბურგის და შემდეგ სრულიად რუსეთის მუშათა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, იმ საბჭოსი, რომელიც დემოკრატიული გზით და საშვალეებით უძღოდა რევოლუციის პირველ ნაბიჯებს.

როცა რუსეთი ბოლშევიზმა და ანარქიამ მოიცვა, კარლო გამოეშრა საქართველოსაკენ. აქ მისი მოღვაწეობა უფრო ენობრივია. ის იყო თავმჯდომარე კავკასიის სემიის, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქართული პარლამენტის და დამფუძნებელი კრების. აქაც მისი მიუდგომლობა, სიძინჯე და დაკვირვებული მოქმედება საერთო სიმპატიის უხვეჭდა მას.

კარლო არ იყო აჩქარებული კაცი, ამბობენ მას გადაწყვეტილების მიღება არ უყვარდა. ეს მართალი არაა. მაგრამ მას ქონდა დიდი ნიჭი ანალიზის, უნარი ღრმა მოფიქრების. ხოლო მოფიქრება აჩქარების წინააღმდეგია. და კარლოც მუდამ გონების თვლით ზომავდა, წონდა ყოველ საკითხს, ყოველ მხრივ უვლიდა, არჩევდა, ანგარიშობდა: შვიდჯერ გაზომავდა და შემდეგ გადაჭრიდა. მაგრამ რაკი ერთხელვე გადაწყვეტდა. მტკიცე იყო და ურყევი. არჩეულ გზას ვერავითარი ძალა ვერ შეუცვლევინებდა...

მაგრამ იყო საკითხი, რომელზედაც იგი არც შეუპოვანებულა, არც დიდი ფიქრი დასჭირვებია: ეს იყო საკითხი საქართველოს უფლების დამოუკიდებ-

ლობაზე. ამაში იგი თავიდანვე მტკიცე იყო და გადაჭრილი.

და ასევე მტკიცე იყო იმ ძალის დაფასებაში, რომელმაც ეს დამოუკიდებლობა გამოგვტაცა: ბოლშევიზმს იგი ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნის დროს ახასიათებდა, როგორც პირწავარდნილ რეაქციას: და ამას გაბედულად ამბობდა კრებებზე, მიტინგებზე, ყველგან.

და ეს იყო მაშინ, როცა ბოლშევიზმი ჯერ კიდევ რევოლუციონერობის ორეოლით იყო შემოსილი. ასეთი იყო მისი ნიჭი მოვლენათა განჭვრეტის და შეფასების. და ასეთი იყო გაბედულება თავის აზრის საჯაროთ ქადაგების, როცა იგი მისთვის დამტკიცებული იყო და დასაბუთებული.

და ამ რეაქციის წითელმა მოციქულებმა, რომელთაც მას წინეთაც ბევრი სიმწარე აგემეს, თავის ქვეყანასაც მოსწყვიტეს. უცხოეთში მის მუშაობას არ შეეხებები: ეს ყველამ იცით. მარტო მისი სახელი რათ ღირდა ჩვენთვის: კ. ჩხეიძე—დამცველი საქართველოს უფლების, მისი დამოუკიდებლობის! იგი შეგვეძლო, სადაც გინდა და ვის წინაშეც გინდა წამოგვეყენებია როგორც მედროზე ჩვენი ქვეყნის და როცა ის ამბობდა ჩვენს სასარგებლოთ, როცა ის მოითხოვდა ჩვენი უფლებების აღდგენას, ეს დიდი მოღვაწე რუსეთის მასშტაბით და ევროპიული სახელით, ეს უკვე თავისთავათ იყო საბუთი ჩვენი საქმის სიმართლის და სამართლიანობის...

და აი ეს ამაგიანი ადამიანი. ეს ჭკვიანი და ბრძენი, დინჯი და აუჩქარებელი გამოგვეცალა ხელიდან ასე საშინელი გზით... დანით.....

რათ, რისთვის?

მე ვნახე იგი იმ საბედისწერო ყამის წინა დღით, ნ ივნისს. ეს იყო კვირა. მოღუშული, ღრუბლიანი ცა იცრემლებოდა, თითქოს წინდაწინ გლოვობდა მოსალოდნელ უბედურებას. კარლო ლევილში დამხვდა მარტოთ მარტო: იქაურები ყველა პარიზში იყვენ წამოსული. მე კი იმ ხანათ დროებით პარიზში მქონდა საქმე და იმ დღეს ავედი.

ჩვენ ერთათ გავატარეთ მთელი დღე: დავიარეთ მთელი მამული, ყოველ კუჩუქულში ვიყავით, იგი თურმე ეთხოვებოდა ამ პატარა ნაჭერს მიწას. რომელიც თავის ქვეყანას აგონებდა. სერთუკი ჩაცვა, სადღესასწაულო ტანისამოსში გამოწყობილიყო, მხოლოდ ზევიდან გახუნებული საზაფხულო პალტო მოესხა. ვაკვირვებით ვკითხე კიდევაც, ასე რათ გამოწყობილხარ-მეთქი.....

რა ვიცოდი? ჩვენ ბევრი ვიმუსაიფეთ, ყველაზე და ყველაფერზე. ჩვენ განეთხე და პოლიტიკაზე, პარტიანზე და წარსულ აჯანყებაზე, მუშაობის გეზზე და ქვეყნის მომავალზე. ჩემთვის დიდი ნუგეში იყო, რომ ყველა საგნებზე ჩვენს შორის აზრთა სრული თანხმობა სუფევდა. ზოგ სადაო საგნებზე ჩვენ წინეთაც ერთათ ვიბრძოდით პარტიაში და ეს მით უფრო სასიამოვნოთ მრჩებოდა.

ხმას ავრცელებენ, თითქოს მას რწმენა შერყეოდეს, ან იმედი დაკარგოდეს ჩვენი საქმის სიმართლის და მისი გამარჯვების. ამას ავრცელებენ განსაკუთრებით იქ, საქართველოში, ბოლშევიკების პრესა და



აგენტები. ტყუილია. იგი ისეთივე ურყევი იყო იმ დღეს, როგორც ყოველთვის.

მაშ რათ გაისევა დანას ხელი?

ეს ჩვენი მწარე სატიკვარია: ცხადია 7 ივნისის ამბავი არ იყო მისთვის უცაბედი. არა, ის მან წინასწარ მოიფიქრა, თავის გულში ასწონ-დასწონა, გადაჭრა მტკიცეთ და შეურყეველათ. უკვე დიდი ხნით ადრე დაეტყო მას საშინელი სულიერი მღელვარება. თვალდათვალ დნებოდა, ილეოდა, ჩვეულებრივი იუმორიც თითქმის დაეკარგა: მიძიმე ფიქრებით იყო შებრძულები. ალბათ მაშინ სწყვეტდა საბედისწერო საკითხს, მაშინ გადაჭრა: «ამაღება ყოფნის».

რისთვის? რათ?

მას არაფერი უთქვამს. საფლავში წაიღო თავის საიდუმლო. ახლანურც ჩვენ ვწყვეტთ. მიზეზთა მთელი გროვა იყო, ეჭვი არ უნდა. მაგრამ ერთი გაკვეთილი კი უნდა გამოვიტანოთ ამ ფაქტიდან, რომელშიაც გამოხატულია ტრადედია კარლოსი და ტრადედია ჩვენი ერის. ეს საფლავი გვევალეებს ამას.

ვაკლებ თვალს ჩვენ მახლობელ წარსულს და ვხედავ: ერთი საშინელი სენი დასჩემდა ქართველ საზოგადოებრივობას: ვერ მოგვლია ჩვენი მოღვაწეებისთვის, უდროოთ ვკარგავთ მათ, არაჩვეულებრივი გზით, არა თავის სიკვდილით. მახსენდება ენინოშვილის უდროოთ გადაცვალება. მ. მაჩაბლის უგზოუკვლოთ დაკარგვა, ილია ჭავჭავაძის ტყვიით განგმირული შუბლი... და ახლა კიდევ ეს ჩვენი კარლო... თავისივე ხელით... გასისხლიანებული ბალიშით...

არა, ამას უნდა ბოლო მოეღოს! ეს უნდა ამოიფხვრას ჩვენი ცხოვრების გზიდან.

მე მინდა მიემართო ყველას: დიდებს და ახალგაზრდებს. განსაკუთრებით ახალგაზრდებს. ცხადია, ჩვენი საზოგადოებრივობა ჯერ კიდევ ვერ ასულა იმ მორალურ სიმაღლემდე, რომ ასეთი «დაკარგვა» შეუძლებელი გახდეს. და ეს, საფლავი გვეუბნება, რომ უნდა ავმალდეთ; უნდა ავსწიოთ მალა საზოგადოებრივი მორალი. გულისყური ერთი-ორათ უნდა გავიმსტიროთ, უნდა ვისწავლოთ გაცემა ერთმანეთის გულისტკივილის, უნდა შევძლოთ მეტი სითბოს შეტანა ურთიერთობაში, შევძლოთ დაფასება ადამიანის, პატივისცემა პიროვნების, შერჩენა საჭირო და გამოსადეგ ადამიანის. ამას გვეუბნება კარლო ამ საფლავიდან... ის ხომ გამოსადეგი იყო. ის ხომ დროშა იყო, რომელსაც წაავყენებდით ყველგან და ყველასთან, როგორც საბუთს ჩვენი საქმის სიმართლის!

ეს საფლავი გეუბნებათ და ვაკლებსთ ყველას, ხნიერს და ახალგაზრდას: მეტი გრძნობა, მეტი მორალი ადამიანური, საკაცობრიო, სოციალისტური, ამხანაგური, მეტი გამტანობა და თანაგრძნობა ამ საერთო ბრძოლაში და გაჭირვებაში; განსაკუთრებით საჭიროა ეს ემიგრაციის გაყინულ პირობებში.

სადაც ძლიერია სითბო გულის, იქ დანა ყელს არ გაეკარება. აი, ამას გვეუბნება ეს საფლავი.

ამხანაგებო და მოქალაქენო! დადევით აქ ფიცი მისი საფლავის წინაშე: რომ ეს მწარე გაკვეთილი, ეს სისხლიანი განცდა უკანასკნელი იქნება ჩვენი საზოგადოებრივობის მატრიანეში.

ჩვენ წინ გვიძევს დიდი და წმინდა მიზანი: ერის განთავისუფლება. ჩვენ გადასახდელი, გვაქვს დიდი და მიძიმე ბრძოლები ამ მიზნის მისაღწევათ. და როგორ გინდათ, რომ ღირსი იყვეთ ამ დიდი საქმის ხელის მოკიდების? ქართველი ერი ერთი დამამშვენე ყვავილი უნდა გახდეს მსოფლიო ერთა თაიგულის, მაშინ იქნება ის საჭირო წევრი საერთაშორისო ოჯახის, ღირსი დამოუკიდებელ არსებობის, მაშინ იქნება ის ერი და არა მხოლოდ მასალა ერისათვის. და ჩვენ უნდა მივსტეოთ ეს ძალა და სიმაღლე ერის ცხოვრებას. ერის უფლებებისთვის მეტბრძოლთ განსაკუთრებით სჭირიათ მაღალი მორალი და კულტურაზნობა, რომ დროშა ერის შეურცხვენლათ და ამაყათ დაიჭირონ მთელი კაცობრიობის წინაშე. ისე როგორც ეს შეეძლო კარლოს.

და ჩვენ უნდა ამას ვეცადოთ. უნდა ეს შევძლოთ: და მაშინ მოვალთ აქ, ამ ღოდის ქვეშე მდებარის წინაშე, და კარლოს შუბლის ნაოჭი გასწორდება, ენა ამეტყველდება. რათა დაველოცოს გზა ბრძოლისა და გამარჯვების. ჩვენც თავაწეული, ამაყათ გავსწევთ წინ საკაცობრიო იდეალებისკენ. რომელთაც ემსახურებოდა ის და რომელიც არის იმავე დროს გზა ჩვენი ერის განთავისუფლების.

ჩვენ ვიბრძოლებთ და ვავიმარჯვებთ. უთუოთ, აუცილებლათ ვავიმარჯვებთ.

და ჩვენ კარლოსაც ავუსრულებთ სურვილს: ეს ჩვენ მოვალეობათ გვაწევს. საამაყო შვილი ქართველი ხალხის თავის ქვეყანას უნდა დაუტბრუნოთ.

და—იქ, ჩემო კარლო, იქ საქართველოს მშრომელთა გულში დაიმკიდრებს საუკუნოთ უკვდავი სახელი შენი და მის მიწაში მიწიერი ნეშთი შენი. მშვიდობით...

### † ალის მენარ-ლორიან

საქართველომ კიდევ ერთი ერთგული მეგობარი დაჰკარგა. გასულ ივნისში გარდაიცვალა ქ-ნი ალის მენარ-ლორიან, პარიზში კარგად ცნობილი, განსაკუთრებით მემარცხენე წრეებში, საზოგადო მოღვაწე. ქ-ნი მენარ ღრმა მოხუცებული იყო, მისი ჰუმანური ბუნება და რადიკალური მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა მეორე იმპერიის მიწურულში და მესამე რესპუბლიკის დამდგეს. ამ უკანასკნელის ისტორია მის თვალწინ მიმდინარეობდა და მისი დემოკრატიული სალონი იზიდავდა ყველა ეპოქის მემარცხენე გამოჩენილ მოღვაწეებს; მაგრამ ამ მდიდარ დემოკრატე მანდილასანის სალონი იყო თავმჯნაფარი აგრეთვე ყველა უცხოელ დევნილის და ჩაგრულის, და როცა საქართველოს საქმე საფრანგეთის დემოკრატიათ თავის საქმეთ გაიხადა, მან უერთგულესი დამცველი და ჭირისუფალი მოიპოვა ქ-ნ მენარში. საქართველოს ის განსაკრთრებულის, ქალურის სინანაზით და სიყვარულით ეპყრობოდა და თავის სალონში ქართველ დევნილთ საგანგებო ყურადღებას და გულის სითბოს უძღვნიდა. მისი მრავალი დამნიშვნელოვანი კავშირები სხვა და სხვა პოლიტიკურ წრეებში ჩვენი საქმისათვის მუდამ გახსნილი იყო. ამ უკანასკნელ დროსაც კი, როდესაც 79 წლის მოხუცი

დამბლადაცემული ქალი, ენას ძლივს აბრუნებდა, «ადამიანთა უფლებათა საერთაშორისო ლიგაში», რომლის მდივანი იყო, ქ—ნი მენარი მღელვარებით მოითხოვდა ხოლმე ყურადღებას და მორალურ დახმარებას ქართული საქმისათვის.

მსტოვან ფრანგ მოღვაწე ქალს, რომელმაც არ ინდომა არავითარი გარეგნული ცერემონია მის და-

კრძალვისათვის, თან გაჰყვა გულწრფელი გლოვა ამ ქვეყანაში გამახიზნულ მრავალი ერის დევნილების. მისი სახელი შეტანილი იქნება იმ თაიგულში, რომელსაც შეადგენენ ჭირში ერთგული ჩვენი საუკეთესო მეგობრები, და რომელსაც სიყვარულით და სამარადისოთ შეინახავს განთავისუფლებული საქართველო.

დ. მ.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ც ი ფ რ ე ბ ი თ

(გდა ჩვენი ქვეყნის გზავნილ მეურნეობის მიმდინარეობისა)

1.

სტატისტიკური მასალების მიხედვით საქართველოს ტერიტორიის მოცულობა დღემდისაც არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული.

1921 წლამდე ვიცოდით, რომ ჩვენი სამშობლოს მიწა-წყალი ზომით 76.300 ოთხ. კუთხ. კილომეტრია, ანუ 66.359 ოთხ. კუთხ. ვერსტი. დესეტინობის მიხედვით ეს შეადგენს 6.901.477 დესეტ., რაც ფეროპიულის საზომით უდრის 7.540.000 ჰექტარს.

ბ-ნ პავლე ინგოროყვას ჩვენებით (ქუთხ. «კავკასიონი» № 3-4 1924 წ.) საქართველო შეიცავს 72.092 ოთხ. კუთხ. კილომ. საქართველოს რესპუბლიკის სივრცე, თავის «საქართველოს გეოგრაფიაში», პროფესორ გ. ვესტმანს ნაჩვენები აქვს 67.960,4 ოთხკუთხ. ვერსტი. ამაზედ ნაკლებს გვიჩვენებს მ. დუბენსკი. რომელიც ლექტორია ამ-კავკ. კომუნისტურ უნი-

ვერსიტეტის, —სახელდობრ: 57.967 ოთხ. ვერსტი. როგორც პროფ. ვესტმანის წიგნიდან ირკვევა, საქართველოს ტერიტორიის ეს შემცირება შედეგია იმისი, რომ ნეიტრალური ზონა (ნაწილი ბორჩალოს მაზრისა) დაეთმო საბჭოთა სომხეთს, ხოლო ართვინის ოლქი ოსმალებს.

ამიერ-კავკასიის ცენტრალ. სტატისტიკ. მართველობის გამოცემაში (ნაროდნოე ხოზიასტვო ზაკავკაზია. 1927 წ.) საქართველოს მოცულობა ნაჩვენებია—69.525 კვ. კილომ. (61.091 კვ. ვერსტი), მაშინ როდესაც საქართველოს ახალი ადმინისტრაციული დარაიონების მიხედვით, საქართველოს მიწა-წყლის რაოდენობა უდრის: 70.046,9 კვადრ. კილომეტრს.

საქართველოს დარაიონების პროექტით, რომელიც წარდგენილი იყო საბჭოთა მე-5 ყრილობაზედ, თითო განზრახულ ოლქზედ მოდის: (ყოფ. № 78.29 წ.).

ოლქები:	კვადრ. კილომ.:	კვადრ. კილომეტრები:
1) ტფილისის ოლქი . . . . .	13.821,4	} 55.928,1 (ჯამი ჩვენია)
2) ქუთაისის (სვანეთის მითვლით)	14.368,9 (13.868?)	
3) ფოთის (სვანეთის მიუთვლელად)	6.741,8	
4) კახეთის . . . . .	10.597,5	
5) გორის . . . . .	4.590,5	
6) ახალციხის ოლქი . . . . .	5.308.	
აგტონომიური ერთეულები		
7) აფხაზეთის ს.ს.ს. . . . .	8.381,0	} 15.518,7 (ჯამი ჩვენია)
8) აჭარისტანის ა.ს.ს.რ. . . . .	2.828,3	
9) სამხრეთ-ოსეთის ა.ო. . . . .	4.309,4	
ჯამი . . . . .	70.046,9 (ჯამი პროექტისა)	71.446,8 (ჯამი ჩვენია)

განსხვავება აქ მოყვანილ ორს ჯამს შუა 1399,9 კვ. კილომეტრია. მგონი, თუ არა ვცდებით, ამის პირველი მიზეზი კორექტურული შეცდომა უნდა იყოს; სვანეთის ზომა ვაჰ. «კომუნისტი»-ს ცხრილში 1.000 კვ. კილ. მეტ-ნაკლებობით არის მოცემული: ერთს შემთხვევაში იგია ნაჩვენები 3051,6 კვ. კილომ., მეორეში კი 4051,6 კვად. კილ. თუ ამ შესწორებას შევიტანთ მაშინაც ჯამი 70446,8 კვ. კილ. გამოდის და არა ის, რაც გაზეთშია მოყვანილი. განსხვავების ასახსნელად ჩვენ შევადარეთ აგტონომიურ ერთეულების სივრცის რაოდენობა სხენებულ პროექტით და ჩვენგან ნასხენებ სტატისტიკურ კრებულის მიხედვით

პირველს შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ 15.518,7 კვ. კილომ., მეორეში კი 15.077 კვ. კილომ., განსხვავება 441,7 კვ. კილ. თუ ტფილისის სხენებულ გამოცემების ცნობები სწორია, —ჩვენ არ ვიცით, საიდან მიეზომა აგტონომიურ რესპუბლიკას ეს ზედმეტი კვად. კილომეტრები. ამ ცნობებიდან, ყოველ შემთხვევაში, ის ირკვევა, რომ თვით ბოლშევიკურ ოფიციალურ გამოცემებშიც არ არის დღესაც მიღებული ერთი რამე საბოლოო ზომა, რომლითაც განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის სისრცე.

საქართველო სივრცით უფრო დიდია ვიდრე შედგენილი სახელმწიფოები:



შევიცარია (41.000 კვ. კილომ.), დანია (40.000), პოლანდია (33.000), ბელგია (30.000) და სხვა და სხვ.

ასეთსავე მერყეობას განიცდის საქართველოს მოსახლეობის აღრიცხვა.

თუ 1917 წლის ცნობებს ავიღებთ, აქ ასეთ სურათს ვხედავთ: საერთო რიცხვი მცხოვრებთა 2.467.000 სულია; აქედან სოფლად ბინადრობენ 2.030.000, ხოლო ქალაქ ადგილებში 437.000 სული. საქართველოს ცენტრ. სტატისტიკ. სამართველოს ძველ გამოცემაში მცხოვრებთა რიცხვი 1917 წლისთვის ნაჩვენებია 2.479.464; ამათში სოფლად 2.033.154, ქალაქებში 446.310. ერთს შემთხვევაში სოფლის მცხოვრებნი ნაჩვენებია მხოლოდ 1.857.828 (იხ. 1917 წლ. სახ. სამ. და საადგილ-მამულა ჯამები). პროფ. გენტმანს ამ წლისთვის ნაანგარიშევი აქვს 2.466.630 სული.

1926 წელს მოხდა საბჭოთა რესპუბლიკების საჯარო აღწერა. თავის დროზედ გამოყოფილი იყო ის ცნობები, რომელიც ამიერკავკ. ფედერაციას ეხება. საქართველოს შესახებ საერთო აღწერით მიღებული ცნობები შესწორებული ყოფილა უმაღლეს სტატისტიკურ მმართველობის მიერ და ასე შესულა მის გამოცემაში.

ამის და მიხედვით, 1926 წელს საერთო რიცხვი

საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობისა ყოფილა 2.641.387 სული; აქედან სოფლად 2.071.462 სული; ქალაქად 569.925.

იმ ცხრილში, რომელიც მოყვანილია საბჭოთა მე-5 ყრილობაზედ წარდგენილ პროექტში (იხ. «კომუნ.» № 78), საერთო რიცხვი მცხოვრებთა ასულია 2 566.494 სულამდე, აქედან სოფლად 2.065.913; დაბე-ბში 36.260; ქალაქებში 564.321.

2.

ზოგ ავტორს (წინანდელს გამოცემებში) საქართველოს მცხოვრებთა რიცხვი სამ მილიონამდე აპყავს. შეიძლება ეს არც იყოს სიმართლეზე დაშორებული. ნამდვილი რიცხვი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისა ჩვენ მაშინ გვეცოდინება, როდესაც მოხდება აღწერა ნამდვილი მეცნიერული მეთოდების და წესის მიხედვით. სტატისტიკური ცნობების შეკრება საზოგადოთ არ არის ადვილი საქმე. არამც თუ ჩვენს პირობებში მყოფი ქვეყანა, არამედ დიდად დაწინაურებულნი სახელმწიფონი ცი უჩივიან ხშირად თავიანთ სტატისტიკურს ცნობებს. მით უფრო გვიჭირს სიფრთხილე და ამიტომ მივიღოთ ის ციფრი, რომელსაც ზემოდ ხსენებული ცხრილი გვიჩვენებს.

ამ მასალის მიხედვით მცხოვრებთა რიცხვი ასეა დანაწილებული:

ოლქები (პროექტით)	სოფლებში	დაბეებში	ქალაქებში	სულ
1) ტფილისის	300.289	4.370	307.339	612.048
2) ქუთაისის (სვანეთის მითვლით)	522.789	6.998	83.558	613.345
3) ფოთის	349.327	4.581	30.086	383.994
4) კახეთის	229.494	7.499	20.910	257.903
5) გორის	171.018	6.008	23.695	202.856
6) ახალციხის ოლქი	158.863	1.244	15.803	175.910
ავტონომიური ერთეულები:				
7) აფხაზეთის ს.ს.რ.	168.772	3.656	28.588	201.016
8) აჭარისტანის ა.ს.ს.რ.	81.579	1.904	48.474	131.957
9) სამხრეთ-ოსეთის ა. ო.	81.557	—	5.818	87.375
ჯამი:	2.065.913	36.260	564.321	2.666.494

უნდა ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური, პოლიტიკური და სოციალური პირობები, რომელიც დამყარებული იყო უკანასკნელს 120 წელს, ვერ უწყობდენ ხელს საქართველოს მოსახლეობას, რომ მისი ზრდა იმ ნორმით მომხდარიყო, როგორც ეს ზოგიერთ სხვა ქვეყნებში ხდებოდა, სადაც ამისათვის სათანადო პირობები იყო მოცემული. ეჭვს გარეშეა ისიც, რომ რუსეთის საქართველოში შემოსვლის შემდეგ, მთელი ათეული წლების განმავლობაში, როდესაც საქართველო აღარ აწარმოებდა გამუდმებულ ომებს, ჩვენს ერს დაუდვა ფიზიკური პირობები გამრავლებისათვის. მაგრამ ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა არ იყო ისე მოწყობილი, რომ ჩვენი ერის, მოსახლეობის ზრდა ევროპისა და თვით რუსეთის ხალხის საზომით მომხდარიყო.

ჩვენი ქვეყანა, რასაკვირველია, შორს იყო იმ პი-

რობებზედ, რომელნიც, როგორც მაგ. პოლანდიაში, შესაძლოთ ხდიან მოსახლეობის გაორკეცებას ყოველ 45 წელს. თავის თავად ცხადია რომ კოეფიციენტი ქართველი ხალხის გამრავლებისა გაცილებით უფრო დაბალია. მაგალითად, 1897 წლიდან 1917 წლამდე. ე. ი. 20 წლის განმავლობაში ქართველი ერი მხოლოდ 22 პროც. გამრავლდა, რაც წლიურს ზრდის ნორმას გვაძლევს, დაახლოებით, 1,1 პროც. პროფ. ა.ა. ჩუპროვის გამოანგარიშებით, რუსეთში მცხოვრებთა რიცხვმა 1871 წ. 1900 წლამდე იმატა 79 პროც., ე. ი. წლიური ზრდის ნორმა თითქმის 2 პროც. «ნამესტნიკობის» დროს გამოქვეყნებულის ცნობებით, 1886 წლიდან 1897 წლამდე, ამიერ-კავკასიაში მცხოვრებთა რიცხვი ამგვარად იყო გაზრდილი: საქართველოს გუბერნიებში 17 პროც-ით; ერევნის გუბერნიაში 20 პროც., განჯის გუბერნიაში 19,6 პროც.

აქ მოყვანილი საქართველოს მოსახლეობის ზრდის ნორმა არ არის ქართველი ერის ზრდის ნამდვილად გამოხატველი. იგი უნდა შემცირებული იქნება, რადგან ამ გამოანგარიშებაში ქალაქებიც შედიან და იმ სტატისტიკური მასალების მოწოდებით ჩვენს დედაქალაქს ტფილისს, მცხოვრებთა რიცხვის გამრავლებაში უპირველესი ალავი უჭირავს. ვინ არ იცის ეს-ლა რა ხელოვნურ მახინჯივით ხდებოდა იმ დროს ქ. ტფილისის მოსახლეობის მატება.

აღნიშნულს ხანაში ტფილისის ზრდა ასე ყოფი-ლა: ორთავე სქესის მცხოვრები სულ მომატებუ-ლია—104 პრ. ამათში მამაკაცებს უმატნია 66.6 პრ. და დედაკაცებს კი მხოლოდ 38.2 პრ.

ეს თვალსაჩინო ჩამორჩენა ქალების რიცხვის ზრდისა ერთ-ერთი დამამტკიცებელი საბუთია იმი-სი, რომ ტფილისის ზრდა ასე გადამეტებულად იმი-ტომ ხდებოდა, რომ იგი, როგორც რუსეთის ბატო-ნობის ცენტრი ამიერ-კავკასიაში, ხელოვნურად იზიდავდა არა მკვიდრ ხალხს, რომელნიც (მოწვევით თუ თვისი ინიციატივით) მოდიოდნენ საქართველოს დედა-ქალაქში რუსეთის მართველ აპარატების ასა-სებათ და სხვა მიზნებისთვისაც, რომელნიც ისე მუი-დროთ იყვნენ დაკავშირებულნი რუსეთის ბატონ-ბასთან ჩვენში.

მცხოვრებთა ეს კათეგორია იყო ის კადრი, რო-მელიც გადამეტებულის ნორმით ზრდიდა ქ. ტფი-ლისის მოსახლეობას და ამავე დროს საქართველოს დედა-ქალაქში ხელოვნურად ამრავლებდა არაქარ-თველ ელემენტს.

ქალ. ტფილისის ზრდის ხასიათი ღირს იმათ, რომ ცოტა შეეჩერდეთ მასზედ. როგორც სხვა ქვეყნების ეროვნული მეურნეობის ევოლუცია გვამცნევს, ქა-ლაქების ნორმალური ზრდა უდიდეს ფაქტორს წარ-მოადგენს ქვეყნის ეკონომიურ ზრდისათვის. სასოფ-ლო მეურნეობის ზრდის ისტორია გვიმტკიცებს, მა-გალითად, რომ შეუძლებელია რაციონალურ ინტე-სიურს მეურნეობაზედ გადასვლა, თუ ერთად და ერთ დროულად, ორი პირობა არ არის მოცემული: სოფ-ლის მოსახლეობის გამრავლება და ქალაქ ადგილებ-ში ინდუსტრიის ზრდა. არის ისეთი სასოფლო-მეურ-ნეობის ხასიათის სახელმწიფონი, სადაც მოსახლეო-ბის ზრდა სწრაფად ხდება, მაგრამ ვინაიდან (მრავალ

მიზეზების გამო), ინდუსტრია არ გაჩაღებულა ქალა-ქებში, სასოფლო მეურნეობა იქ კვლავ ჩამორჩენას განიცდის. ამნაირს ქვეყნებში სოფლად გამრავლე-ბული ხალხი დიდს მატერიალურს გაპირვებას და ხშირად შიმშილსაც განიცდის. ერთად ერთი გამო-სავალი (ისიც დროებითი) ამ ქვეყნებისა ან მოსახლ-ლეობის ზრდის დაკლება არის—რაც ხდება ემიგრა-ციის საშუალებით, ახალდაბადებულთა მოკლე დღე-ობით, სიკვდილის ნორმის აწევით, მშობიერობის შემცირებით ხელოვნურის ზომებით და სხვა,—და ან ქალაქებში (თუ გინდ მიდამოებში) მრეწველობის გაჩენა.

ინდუსტრიით გაღონიერებული ქალაქი იზიდავს თავისკენ სოფლის ზედმეტ მოსახლეობას, უჩენს მას საქმეს, საზრდოს, გამოჰყავს სიღარიბიდან, ხდის ახალ-ღირებულებათა შემქნელად. ქალაქების ამნაი-რის ზრდას ყველაზედ უწინ თვით სოფელი სარგებ-ლობს, რადგან მას თავისი ნაწარმოების გასასაღებ-ლად უახლოვესი ბაზისი უჩნდება, რაიც დაბოლოს ხდება იმ დიდებულ ფაქტორად, რომელსაც სრული გარდაქმნა შეაქვს სასოფლო მეურნეობის კულტუ-რალი.

სოფელს და ქალაქს ერთი ერთმანეთთან ისეთი მჭიდრო კავშირი აქვთ, რომ სრულის სიმართლით შეიძლება ითქვას: მიჩვენე ქალაქის მრეწველობის მდგომარეობა და მე გეტყვი სასოფლო მეურნეობის ზრდის შესაძლებლობასაო.

მაგრამ ზრდაც არის და ზრდაც; ცარიელი სტა-ტისტიკური ნიშნები ხშირად ვერ შესძლებენ ხოლმე სოფლის და ქალაქის ნამდვილ დამოკიდებულების გამოჩვენებას.

ბევრს შემთხვევაში თუ ადამიანი ფრთხილად არ მოიქცა და დაკვირვებით არ გამოიკვლია ბუნება რომელიმე ქალაქის ზრდისა, შეიძლება შეცდომაში შევიდეს და ყალბი დასკვნები გამოიტანოს.

ამ მხრივ ჩვენთვის დიდად საყურადღებოა ჩვენი დედა-ქალაქის მოსახლეობის ზრდა და გამოკვლევა იმისი, თუ რა დამოკიდებულება აქვს ამ ზრდას საქართველოს სასოფლო-მეურნეობის ევოლუციას-თან.

აი რას გვიჩვენებს ქ. ტფილისის მოსახლეობის სტატისტიკა (იხ. ტფილისის სტატის. ატლასი. 1922 წ.).

ქ. ტფილისის მცხოვრებთა ეროვნული შემადგენლობა:

წელიწადი:	ქართველები:	სომხები:	რუსები:	დანარ. ეროვ.:	სულ მცხოვ.:
1864	14.878 (24,8 პრ.)	28.488 (47,4 პრ.)	12.302 (20,5 პრ.)	4.417 (7,3 პრ.)	60.085
1876	22.156 (24,2 პრ.)	37.601 (41,0 პრ.)	20.198 (22,0 პრ.)	11.713 (12,8 პრ.)	91.688
1897	40.526 (27,7 პრ.)	46.713 (32,0 პრ.)	39.213 (26,8 პრ.)	19.712 (13,0 პრ.)	146.164
1910	54.120 (17,7 პრ.)	124.900 (40,9 პრ.)	67.080 (22,0 პრ.)	59.100 (19,4 პრ.)	305.207
1914	69.563 (20,2 პრ.)	129.589 (37,7 პრ.)	78.356 (22,8 პრ.)	66.442 (19,3 პრ.)	343.250

საშუალო წლიური ზრდა მცხოვრებთა შემდეგი ყოფილა:

ეროვნებანი	1864—1875	1876—1897	1897—1910	1910—1914
ქართველი	7.278 (4,1 პრ.)	18.370 (3,9 პრ.)	13.594 (2,6 პრ.)	15.443 (7,1 პრ.)
სომეხი	9.113 (2,7 პრ.)	9.112 (1,2 პრ.)	78.188 (12,9 პრ.)	4.688 (0,9 პრ.)
რუსი	7.896 (5,3 პრ.)	19.015 (4,6 პრ.)	27.873 (5,5 პრ.)	11.270 (4,2 პრ.)
დანარჩენი ეროვნებანი	7.296 (1,3,8 პრ.)	7.999 (3,3 პრ.)	39.388 (15,3 პრ.)	7.342 (3,1 პრ.)



ამ მასალების მიხედვით მცხოვრებთა საერთო რიცხვი ქ. ტფილისში 1864 წ. 60085 სულიდან, 1914 წ. 343.250 სულამდე ასულა, ე. ი. 50 წლის განმავლობაში უმატნია სუთჯერ.

ეროვნებათა მიხედვით ეს ზრდა ასეთია:

ეროვნებანი:	1864—1914 წ.
ქართველები:	54.685 სული.
სომხები:	101.101 »
რუსები:	66.054 »
დანარჩენი ეროვნებანი	62.025 »

ზემოდ მოყვანილი ციფრები ბევრს რამეს მეტყველებენ, მაგრამ ამ უამად ჩვენთვის ისინი არიან საინტერესონი, რამდენად ააშკარავებენ და ნათელ ყოფენ საქართველოს სოფლის და ქალაქის ურთიერთობას.

ზემოდ მოყვანილი ცხრილების უბრალო გადახედვაც კი სულ პირველად იმას ააშკარავებს, რომ ქ. ტფილისის ზრდა არ მომხდარა ბუნებრივი ეკონომიური პირობების ზეგავლენით.

საქართველოს სოფლის მცხოვრებთა რიცხვი, იმ დროში მაინც, სულ ცოტა შეადგენდა 82 პრ. მთელის მოსახლეობისა და ამ რიცხვში ქართველები შეადგენდნენ 73 პრ. მაინც.

ჩვენი დედა-ქალაქის ზრდა ნორმალური ეკონომიური პირობებით რომ ყოფილიყო გამოწვეული, ქართველების მონაწილეობა ამ ზრდაში, ცხადია, უფრო მეტი იქნებოდა.

საქართველოს სოფლის მოსახლეობის გადაშეტიებული ზრდა, მისი აგრარული დამშვევა—ახალი ამბავი არ არის; საქართველოს სოფლის ბუნებრივი პირობები, რომელთაც ქალაქებისკენ ლტოლვა უნდა გამოიწვიოთ—დიდი ხანია მომწიფებულა. და თუ ეს ქალაქისკენ გადასახლება არ ხდებოდა ნორმალურად და ჩქარის ტემპით, ამისი უმთავრესი მიზეზი ორია: ერთი ეკონომიური, მეორე კი პოლიტიკური.

მთავარი მიზეზი ეკონომიურია,—ეს არის ქალაქის მოუშვიდელობა სოფლელ ლტოლვილთა მისახლებად, ე. ი. ქალაქის ინდუსტრიის სისუსტე და ჩამორჩენა.

რაკი მოქარბებულ სოფლის მცხოვრებს თავის დედა-ქალაქში საქმე არა ეშოვებოდა რა, იგი თავის ბინაზე რჩებოდა, სოფლად, და იქ პრიმიტიულის წესით მეურნეობის წარმოებით ვერ უფასდებოდა მას ვერც შრომა და ვერც ჯაფა; და იყო გამუდმებულს გაჭირვებაში! ზოგიერთ შემთხვევებში იგი მაინც გადიოდა სხვა ქალაქებში სამუშაოთ, ან თავისვე ქვეყანაში (ბათუმი, ფოთი, ქიათურა), ან კიდევ საზღვარ-გარეთაც. აქეთკენ ითქვამდა სულს ჩვენი სოფლის მცხოვრები; ქალაქი ტფილისი კი მისთვის დახშული იყო არა მხოლოდ ეკონომიურად, არამედ პოლიტიკურადაც.

სწორეთ პოლიტიკის ჩარევითაც უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ არაქართველი ელემენტი სწრაფის ნაბიჯით იზრდებოდა ტფილისში და ამ ზრდაში ასეთი მცირე ალაგი უკავია საქართველოს სოფელს. თუ არ ამ მიზეზით სხვაფრივ ვერ აიხსნება ის მოვლენა, რომ მაშინ როდესაც ქართველების რიცხვი ტფილისში 50 წლის განმავლობაში მხოლოდ 54.685

სულამდე გაიზარდა, სომხების ზრდა იყო 101.101, რუსებისა 66.054 და დანარჩენი ეროვნებისა 62.025 სულამდე.

იქ სადაც ნორმალური და ბუნებრივი პირობები დაცულია, ამისთანა არაჩვეულებრივი მოვლენა არასოდეს არა ხდება. მართლაც, ჩვენ კარგად ვიცით, რომ ეს ანომალია ტფილისის მცხოვრებთა ზრდაში გამოწვეული იყო იმ უკუღმართ ხერხების საშუალებით, რომელსაც ხმარობდა რუსის მთავრობა, რომ ხელოვნურად აეჭრელებინა საქართველოს მოსახლეობის შემადგენლობა და მით გაეადვილებინა ჩვენი ქვეყნის რუსიფიკაცია და გადაგვარება. სწორედ ასეთი ზომების წყალობით მოხდა სომხების ზრდა ჩვენს დედა-ქალაქში. ამას ხელს უწყობდა ოსმალეთის მხრივ სომხების დარბევა და მათი აყრა იმ დარბეულ ადგილებიდან, რომელნიც სომხეთის ისტორიულს ტერიტორიას შეადგენდნენ.

ოსმალეთისაგან სომხების დარბევა პერიოდულად ხდებოდა და ასეთისავე პერიოდებში აწყებოდა ლტოლვილი სომხობა საქართველოს საზღვრებს და მის დედა-ქალაქს, სადაც მას ხდებოდა ორგანიზაციული დანმარება სხვადასხვა სომხურ საქველმოქმედო და პოლიტიკურ დაწესებულებათაგან.

თქმა არ უნდა, რომ ყველა ეს ხდებოდა რუსეთის მთავრობის ნებართვით და ზოგ შემთხვევაში წაქეზებითაც. ასევე მოხდა მაგ. სომხების დასახლება ახალ-ქალაქის მაზრაში გენერ. პასკევიჩის მიერ, იმ ქართველ-მაჰმადიანთა მიწა-წყალზედ, რომელნიც ან თავის ნებით გადასახლდნენ რუსების შემოსვლის შემდეგ ოსმალეთში და ან ძალით იყენენ გარვკილინი რუსი გენერლის განკარგულებით (პროფ. ვებსტმანი).

მ. მ. დუმბენსკის ანგარიშით სომხები, რუსები და ებრაელები 1921-22 წლ. აღწერით შეადგენდნენ ქ. ტფილისის მოსახლეობის 56.8 პრ.-ს. მაგრამ ყველა ეს არ ყოფილა ტფილისის მკვიდრი მოსახლე. მათ შორის გარედან მოსულან ჩვენს დედა-ქალაქში (1922 წლის აღწერით):

სომხები	33.530
რუსები	18.000
ებრაელები	3.798

სულ 68.989 ორთავე სქესისა.

რუსების და «დანარჩენ ერების» მატება (უმთავრესად გარედან მოსულნი და არა ტფილისშივე დაბადებულნი) 1864 წლიდან დაწყებული თითქმის ყველა პერიოდებს ემჩნევა.

სომხების ზრდა, როგორც უკვე იყო ნათქვამი, პერიოდულად ხდებოდა და არა გამუდმებულად.

მათი რიცხვობრივი მნიშვნელობა ქ. ტფილისში ჩამოსულა ასე: 47,4 პრ. (1864 წ.); 41,0 პრ. (1876 წ.) და 32,0 პრ. (1897 წ.). სამაგიეროდ ეს მოსახლეობა 1910 წელს ასულა 40,9 პროცენტამდე, მაგრამ 1914 წელს კვლავ ჩამოსულა 37,7 პრ.-ზედ. 1922 წლის აღწერით სომხობის მოსახლეობა ქ. ტფილისში ყოფილა 36,6 პროც. და იგი თითქმის უთანაბრდებოდა ქართველებს. ჩვენ მალე დავინახავთ, რა ცვლილება მოხდა აქ შემდეგს წლებში.

ეჭვს გარეშეა, რომ 1921-22 წელს, ეროვნებათა დანაწილებაზედ ქ. ტფილისში კვლავ იქონია გავლენა

ხა პოლიტიკურმა (და არა ეკონომიურმა) მომენტმა, კვლავ ქართველების საზიანოდ.

1921 წელს სულ გასულან ქ. ტფილისიდან 106.096

ეროვნებანი:	შემოსულან:	გასულან:
ქართველები	38.987	34.103
სომხები	47.845	36.917
რუსები	18.524	14.725
დანარჩენი ერები	21.936	20.294

1921-22 წლ. აღწერით (მ. დუბენსკი) ტფილისში ყოფილა სულ:

ქართველი	80.072
სომეხი	85.262
რუსი	38.326

ამ უმთავრეს მოსახლეობათა რიცხვს, რომ გამოვაკლოთ რიცხვი იმ გარედან მოსულთა, რომელიც 1921 წელს მომხდარა, ამ შემთხვევაში ხსენებულ ეროვნებათა დანაწილება 1922 წლისათვის ქ. ტფილისში ასეთი იქნებოდა:

ქართველი (80072— 4884)=75.188.
სომეხი (85262—10898)=74.364.
რუსი (38326— 3799)=34.527.

ეს ცხრილი სულ სხვა სახეს მიიღებს, თუ გამოვრიცხოთ იქმნება ყველა გარედან მოსულები, რომელთა ქ. ტფილისში შემოსვლის მოტივი იყო რევოლუციამდე გაბატონებული პოლიტიკური ტენდეცია რუსის მთავრობის და რომელიც რჩებოდენ ტფილისში, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს პო-

«როგორ იხსნებოდა ტფილისის მოსახლეობა»: (ა. რუხაძე)

კრძვნება	1897 წ.		1922 წ.		1926 წ.	
	აბს. რიცხვი.	პროც.	აბს. რიცხვი.	პროც.	აბს. რიცხვი.	პროც.
ქართველები	42.205	26,4	80.684	34,6	112.206	38,2
სომხები	47.133	29,5	85.309	36,5	100.148	34,1
რუსები	47.599	29,8	38.612	16,5	47.843	16,3
ებრაელები	2.935	1,3	8.768	3,7	8.962	3,1
გერმანელები	2.092	1,8	2.457	1,0	3.156	1,1
ბერძნები	1.238	0,8	1.257	0,5	1.402	0,5
დანარჩენნი	15.578	9,9	16.871	7,2	20.533	6,7
სულ:	159.590	100 პროც.	233.958	100 პროც.	294.044	100 პროც.

ეს ცხრილი სრულს ნათელსა ფენს ჩვენგან დასმულ კითხვას. ეტყობა ჩვენი ქვეყანა აღარ აპირებს იმ ნორმალურ ვიზიდან გადახვევას, რომელიც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ვადიშალა მის წინ. რუსეთის მართველობის და მისი დამხმარე წრეების საქართველოსთვის დამლუპველი პოლიტიკა უკუგდებოდა იყო ჩვენი ერისაგან დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, რითაც დაიბადა ჩვენში პირობები ბუნებრივი ძალების თავისუფლად განვითარებისა. როგორც ამის ერთი შედეგთაგანი არის ის ზრდა ქართველ მოსახლეობისა ჩვენს დედა-ქალაქში, რომელსაც ზემოდ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს.

მანამ ქ. ტფილისის სტატისტიკას განვმორღებოდეთ, ერთი მცირე რამ ცნობა კიდევ. ამ რამდენიმე წლის წინად გამოქვეყნებული იყო ასეთი «სტატისტიკა». ქალაქ ტფილისის კერძო მესაკუთრეების რი-

მცხოვრ.: ახლად კი შემოსულა 127.292 სული. გასულ წელზე მეტი შემოსულა 21.223 ადამიანი. მათ შორის:

შემოსულა მეტი:	მომატების პროც.
+ 4.884	23 პროც.
+ 10.898	51,4 პროც.
+ 3.799	17,9 პროც.
+ 1.642	7,7 პროც.
სულ 21.123	100 პროც.

ლიტიკა განაგრძობდა თავის «დღევანდობას». პროფ. გეტმანის ანგარიშით ასეთი გარედან შემოსულები არიან: სომხები 33.530; რუსები 18.881; ებრაელები 3798. ამ შემთხვევაში ტფილისის მკვიდრ მცხოვრებთა დანაწილება ასეთი იქნებოდა:

ქართველები	75.188
სომხები	51.732
რუსები	19.545.

ამ უკანასკნელს ცხრილს დასკირდებოდა ცოტა რამ შესწორება, რადგან ხელთ არა გვაქვს დეტალური სტატისტიკა, რომ დროებით მოსახლეობა რადენობის აღნიშვნა სრულის სიფრთხილით მოგვეზღინა. მაგრამ აღარც ესაჭიროებოდა შესწორების მოხდენას, რადგან ამ ქამად ხელთა გვაქვს სულ უკანასკნელი ოფიციალური გამოკვლევა ტფილისის მოსახლეობისა ეროვნებათა დანაწილების მიხედვით.

გაზ. «კომუნისტი»-ს ბოლო ნომრებში (1929 წ.) აღბეჭდილია ცხრილი, რომელსაც უძღვის სათაური:

«გაგრძელება იქმნება») ცხვში მოდიოდა: ერთი მესაკუთრე თვითეულ ხუთ ქართველ მცხოვრებზედ; და ამავე დროს: ერთი მესაკუთრე თვითეულ შვიდს სომეხ მცხოვრებზედ. მაგრამ ეს უფრო ფსიქოლოგიაა, ვიდრე მშრალი სტატისტიკა და ეს ფსიქოლოგია მეტყველობს მას, რომ მიუხედავად მძიმე მატერიალურ და პოლიტიკურ პირობებისა ქართველს არასოდეს არ აუღია ხელი თავის დედა-ქალაქზედ, სადაც იგი უფრო იჩინდა მესაკუთრეობის უნარს, ვიდრე სხვა არაქართველი ერების წარმომადგენელნი.

(გაგრძელება იქმნება)

—ლი—გ.

Réduction et Administration.

M. J. GOBETCHIA

7, rue de Ponthieu, 7. Paris.